ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გფჰფცრტდბ7 ! ფუდბც6ჯ7 )!§ 1180 (6491) აფცბ5 №) სტსჰბ

## ირაკლი ღარიბაშვილი: კრემლის გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა“



გვ.4

# სოსო ცინცაძე: სააკაშვილზე საერთაშორისო ძებნა არ გამოცხადდება!“



გვ.2

„დღევანდელი ხელისუფლება, დიდი ხანია, ბეწვის ხიდზე იმყოფება. უნდა აღვნიშნო, რომ ჯერ არც იქით გადახრილა და არც აქეთ. ჯერ არც ის დაუმტკიცებია, რომ აქ არანაირი პოლიტიკური შურისძიება არ არსებობს. ამის დამტკიცებას მხოლოდ განცხადებები არ შველის. ეს დამტკიცდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სასამართლო დადებს ყველასთვის დამაჯერებელ მტკიცებულებებს“

გვ.4

# მიხეილ სააკაშვილი: პოლიტიკური თავშესაფარი არაფერში მჭირდება!“

## პარლამენტში აპარატურა მწყობრიდან გამოვიდა



გვ.3

## გიორგი სიგუა თანამდებობიდან გათავისუფლებულია

„სამინისტროს განცხადების თანახმად, მათ მიერ მიღებულია გადაწყვეტილება გიორგი სიგუას დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რის თაობაზეც სამინისტროს მხრიდან, საქართველოს კანონმდებლობის დაცვით, გიორგი სიგუას შესაბამისი წერილობითი შეტყობინება უკვე გაეგზავნა. კერძოდ კი, ის დაკავებული თანამდებობიდან 4 აგვისტოდან გათავისუფლდება“.

ISSN 1987-9385
9 771987 938006



გვ.2

## გოგა ხაჩიძე პრემიების გაუქმების წინააღმდეგია



რამდენი ათასი პრემია აიღო დეპუტატმა მინისტრობის დროს

გვ.3

„თუ თანამშრომელი რაღაც კარგს ჩაიდენს და მისი წახალისება შეიძლება, რატომ არ უნდა მისცე პრემია. ვიღაცა ლორმა თუ 30 ათასი გამოიწერა პრემია, ამის გამო პრემიების გაუქმება, ვფიქრობ, სწორი არ არის. ამას ზომიერად და კარგად შეფასება სჭირდება“.

# სოსო ცინცაძე: სააკაშვილზე საერთაშორისო ძებნა არ გამოცხადდება!“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ პოლიტიკური პროცესების შესაძლო განვითარებაზე საუბრობს. როგორც ცინცაძე აცხადებს, ექსპრეზიდენტი სააკაშვილი მოთხოვნის შემთხვევაში პოლიტიკურ თავშესაფარს ევროპის არაერთ ქვეყანაში მიიღებს. მათ შორის, პოლიტოლოგი არ გამორიცხავს, რომ თავშესაფარი ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც მისცეს ყოფილ პრეზიდენტს, ამერიკაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებით.**



**„დღევანდელი ხელისუფლება, დიდი ხანია, ბეწვის ხიდზე იმყოფება. უნდა აღვნიშნო, რომ ჯერ არც იქით გადახრილა და არც აქეთ. ჯერ არც ის დაუმტკიცებია, რომ აქ არანაირი პოლიტიკური შურისძიება არ არსებობს. ამის დამტკიცებას მხოლოდ განცხადებები არ შველის. ეს დამტკიცდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სასამართლო დადებს ყველასთვის დამაჯერებელ მტკიცებულებებს“**

***— ბატონო სოსო, როგორ შეიძლება, პოლიტიკური მოვლენები განვითარდეს? ფიქრობთ თუ არა, რომ ყოფილ პრეზიდენტზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდეს? მიხეილ სააკაშვილმა პირველი კომენტარი წარდგენილ ბრალდებაზე უნგრეთიდან გააკეთა...***

— მიხეილ სააკაშვილი ერთ დედაქალაქში არ ჩერდება. ის მოგზაურობს. მან უკვე დატოვა ბუდაპეშტი. თუმცა, ყველას აინტერესებს, იხილავს თუ არა ქართველი საზოგადოება, ბორკილებდადებული სააკაშვილი თუ როგორ ჩამოჰყავთ თვითმფრინავის ტრაპიდან ქართველ სამართალდამცავებს. ასეთი სცენარი მე ძნელად წარმომიდგენია მთელ რიგ მიზეზთა გამო. ჯერ სასამართლო არ გამართულა და აღკვეთის ღონისძიება არ გატარებულა. სანამ სასამართლო არ გამოიტანს ვერდიქტს, ნებისმიერ ძიებაზე საუბარი ზედმეტია, ასევე ზედმეტია საუბარი საერთაშორისო ძებნაზე წითელი ცირკულარით თუ მწვანე ცირკულარით. რა მიზეზით ვერ შედგა აქამდე სასამართლო პროცესი, გაუგებარია, ვერ გეტყვით, ტექნიკური მიზეზია თუ სხვა. თუ გამოცხადდება წითელი ცირკულარით სააკაშვილზე ძებნა, ევროპაში არ იქნება ისეთ სახელმწიფოთა დეფიციტი, რომელიც მას პოლიტიკურ თავშესაფარს მისცემს. ასევე დიდი ალბათობით, ამერიკის შეერთებული შტატებიც უარს არ ეტყვის, მით უფრო, კონგრესის არჩევნების წინ, სადაც ობამას არც ისე სახარბიელოდ აქვს საქმე. არა მგონია, კიდევ ერთხელ გადაამტეროს სააკაშვილის მეგობარი „რესპუბლიკელები“, მაკკეინისა თუ შაჰინის მეთაურობით. გარდა ამისა, სააკაშვილის სასარგებლოდ მუშაობს საერთაშორისო ფონი.

***— რუსეთის ფაქტორს გულისხმობთ?***

— რასაკვირველია, რუსეთ-უკრაინის ფაქტორს. ვინც მოესწრო ცივი ომის მეორე ეტაპს, მაგალითად, ჩემი თაობა, ის ხვდება, რომ ცივი ომი სახეზეა. მე დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ იმდროინდელ საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის ურთიერთობებსა და დღევანდელ რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობებს შორის. არავის აწყობს აღიარება, რომ დღეს ცივი ომია. თუმცა, ჟურნალისტები ნელ-ნელა ცდილობენ, მსოფლიო საზოგადოება შეაჩვიონ იმ რეალობას, რომ სახეზეა ცივი ომი.

***— ახალი ცივი ომი რეალობაა?***

— დიახ, რეალობაა. რასაკვირველია, საქმე ცივ ომთან გვაქვს. მე არ მაქვს მხედველობაში ის, რაც ხდებოდა 60-იან წლებში, 50-იანი წლების ბერლინის კრიზისი, კუბის სარაკეტო კრიზისი, მაგრამ ერთი ერთში ემთხვევა მოსკოვის მიერ ავღანეთის ავანტიურას.

***— ისევ სააკაშვილის თემას რომ დავუბრუნდეთ, დღეს საერთაშორისო არენაზე სააკაშვილი, როგორც რუსეთთან მებრძოლი, ისე გამოდის და ამ ფონს ის იყენებს...***

— ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რასაც ვეთანხმები, რომ მოგვწონს თუ არ მოგვწონს, სააკაშვილი სერიოზული პოლიტიკოსია. დღეს სერიოზული პოლიტიკოსები მსოფლიო არენაზე უხვად არ გვხვდებიან. სხვა საკითხია, რამდენად არის დამნაშავე ან არ არის. ეს სასამართლომ უნდა დაადგინოს. სააკაშვილს პოსტსაბჭოთა სივრცეში გააჩნია რუსეთის წინააღმდეგ ყველაზე პრინციპული, ყველაზე შეურიგებელი მებრძოლის რეპუტაცია. რას ეფუძნება ეს რეპუტაცია, სხვა საქმეა. ფაქტია, რომ მას ეს რეპუტაცია აქვს. ვიღაც გამოვა და იტყვის, რომ ყალბია, ფულით იყო და ა.შ

***— ბატონო სოსო, ყოფილი პრეზიდენტი პუტინის დაკვეთაზე საუბრობს, რომელსაც ივანიშვილი ასრულებს. რამდენად დამაჯერებელი შეიძლება იყოს სააკაშვილის ეს არგუმენტი დასავლეთისთვის?***

— რამდენად ასრულებს ივანიშვილი ვინმეს დაკვეთას, ამას დამტკიცება სჭირდება. ჩემთვის ეს მხოლოდ ზეპირი განცხადებაა, რომელსაც ფაქტები და უტყუარი მტკიცებულებები სჭირდება.

***— ამ საქმესთან დაკავშირებით ხელისუფლებას, პროკურატურას ბეწვის ხიდზე მოუწევს გავლა, რათა არ იქნეს აღქმული, რომ საქმე გვაქვს პოლიტიკურ დევნასთან. რამდენად შეძლებს ამას ხელისუფლება?***

— დღევანდელი ხელისუფლება, მე ვიტყოდი, დიდი ხანია, ბეწვის ხიდზე იმყოფება. უნდა აღვნიშნო, რომ ჯერ არც იქით გადახრილა და არც აქეთ. ჯერ არც ის დაუმტკიცებია, რომ აქ არანაირი პოლიტიკური შურისძიება არ არსებობს. ამის დამტკიცებას მხოლოდ განცხადებები არ შველის. ეს დამტკიცდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სასამართლო დადებს ყველასთვის დამაჯერებელ მტკიცებულებებს. ყველაში არ ვგულისხმობ ნაციონალურ მოძრაობას. თინა ხიდაშელმა თქვა, რაც არ უნდა დავდოთ, გივი თარგამაძე მაინც თავისას იტყვისო. ამიტომ ვამბობ, თარგამაძეს არ ვგულისხმობ, ეს მტკიცებულებები სარწმუნო უნდა იყოს საერთაშორისო პოლიტიკოსებისთვის, დასავლეთისთვის. არა მგონია, ხიდაშელი მზად იყოს, ასეთი შეურაცხყოფა მიაყენოს, მაგალითად, ევროპის სახალხო პარტიას. მოგვწონს, არ მოგვწონს, ეს არის ევროპა. „სახალხო პარტია“ ევროპის ყველაზე დიდი პოლიტიკური პარტიაა.

***— რუსეთის მიერ თავისუფალ ვაჭრობის შეთანხმების შეჩერება რა მინიშნება შეიძლება იყოს? შეიძლება, შემდეგი ნაბიჯი ემბარგო იყოს?***

— ყველას კარგად ახსოვს, ჩვენი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები როგორ გვამშვიდებდნენ, რომ რუსეთი თითს თითზე არ დააკარებს ჩვენ საწინააღმდეგოდ ასოცირების ხელშეკრულების კონტექსტში. ისიც გვახსოვს, გულუბრყვილოდ როგორ ამტკიცებდნენ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი დეპუტატები, რომ კარასინმა აბაშიძეს უთხრა, ხელი მოაწერეთ, ჩვენ არაფერს მოვიმოქმედებთო. ახლა გამოირკვა, რომ თავისუფალი ვაჭრობა რუსეთმა შეაჩერა. ჩემს მეგობარ ზურა აბაშიძეს ეყო ობიექტურობა და პოლიტიკური გამბედაობაც, რომ ეღიარებინა, რუსეთის ამ ნაბიჯს სიკეთე არ მოჰყვებაო. ნამდვილად არ არის ტრაგედია, მაგრამ არც საჩუქარია.

***— ნაციონალური მოძრაობის პარტიის შიგნით, ხომ არ ფიქრობთ, რომ ყოფილი პრეზიდენტისადმი ბრალდებას გარკვეული პროცესები მოჰყვეს?***

— შიდა პროცესები უკვე მიდის. სამწუხარო ის არის, რომ საქართველოში საექსპერტო კვლევა, თუნდაც ამ მიმართულებით, თუ რა სურათი შეიძლება ჩვენ მივიღოთ რამდენიმე წელიწადში, მაგალითად, როგორ შეიძლება, მოვლენები დალაგდეს, არ მიმდინარეობს. საექსპერტო, მეცნიერული კვლევა ჩანაცვლებულია არასამთავრობო სექტორის მიერ.

***— პოლიტიკური სურათი შეიძლება შეიცვალოს, თქვენი ხედვით?***

— შეიძლება, შეიცვალოს. მაგალითად, საპარლამენტო უმრავლესობაში, სახელისუფლებო გუნდს ვგულისხმობ, უკვე მიმდინარეობს პოლიტიკური პროცესი.

***— უფრო კონკრეტულად რომ გვითხრათ, რა პროცესია ეს?***

— ეს არის დაპირისპირების პროცესი.

***— ვისა და ვის შორის ან რომელ პარტიებს შორის?***

— ქალბატონი თინა ხიდაშელის განცხადებები ეწინააღმდეგება, მაგალითად, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას განცხადებებს. ასევე განსხვავებებია ქალბატონ ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძის განცხადებებსა და სხვა დეპუტატების განცხადებებს შორის. როგორც ჩანს, პროფესიონალი პოლიტიკოსები არ არიან არც ჩვენი ვიცე-სპიკერი ქალბატონი და არც სხვა ქალბატონი დეპუტატები, რომლებიც მხოლოდ წარსულზე აპელირებენ. პოლიტიკის პირველი დაუდგენელი კანონია, წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი შეცდომა და დანაშაული ინდულგენცია არ არის ახალი ხელისუფლებისთვის. თუ ყოფილმა დააშავა, მაგრამ შენ ნაკლებს აშავებ, შენც დამნაშავე ხარ, მაგრამ ის მეტად არის დამნაშავე და შენ კი — ნაკლებად. მოქმედებს პრინციპი: ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი — ორივე ქურდია. ხელისუფლების პირველი მოვალეობა ხალხისადმი ანგარიშვალდებულებაა, შეგნება იმისა, რომ დროებით არის დაქირავებული და სამუდამო არაფერია, ასევე შეგნება იმისა, რომ ემსახუროს ქვეყანასა და ხალხს კეთილსინდისიერად.

## გიორგი სიგუა თანამდებობიდან გათავისუფლებულია



ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი სიგუა თანამდებობიდან გათავისუფლებულია. ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ ეკონომიკის სამინისტრო ადასტურებს.

სამინისტროს განცხადების თანახმად, მათ მიერ მიღებულია გადაწყვეტილება გიორგი სიგუას დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რის თაობაზეც სამინისტროს მხრიდან, საქართველოს კანონმდებლობის დაცვით, გიორგი სიგუას შესაბამისი წერილობითი შეტყობინება უკვე გაეგზავნა. კერძოდ კი, ის დაკავებული თანამდებობიდან 4 აგვისტოდან გათავისუფლდება.

„აქვე გვსურს განვმარტოთ, რომ გიორგი სიგუას მიერ 30 ივლისს გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ის თითქოსდა არ იყო ინფორმირებული თანამდებობიდან მისი შესაძლო გათავისუფლების თაობაზე, სინამდვილეს არ შეესაბამება. პირველ რიგში, გამომდინარე იქედან, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობის მხრიდან სხვადასხვა დროს გიორგი სიგუას არაერთხელ მიეცა ზეპირი გაფრთხილება მის მიერ განხორციელებული სამსახურის ხელმძღვანელისთვის შეუფერებელი ქმედებების გამო და ასევე, სამინისტროს მიერ საბოლოოდ მიღებული გადაწყვეტილება მისი გათავისუფლების თაობაზე გიორგი სიგუასთვის ცნობილი იყო.

ასევე არ შეესაბამება სინამდვილეს გიორგი სიგუას განცხადება იმის თაობაზე, რომ დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო, ის აგვისტოს თვეში თანამდებობის დატოვებას არ აპირებს. ამ კომენტარის გაკეთების მომენტისთვის მას მინისტრის სახელზე უკვე დაწერილი ჰქონდა განცხადება 4 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე შვებულებით სარგებლობის მოთხოვნის შესახებ. აღნიშნული განცხადება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში 29 ივლისს დარეგისტრირდა“ — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

ნიუსპრესი

## საქორწინო ხელშეკრულების სტატისტიკა იზრდება

ნოტარიუსთა პალატის ცნობით, 2009 წელს სანოტარო წესით 17 საქორწინო ხელშეკრულება დამოწმდა; 2010 წელს — 7; 2011 წელს — 13; 2012 წელს — 21; 2013 წელს — 32; 2014 წელს (7 თვეში) — 22 საქორწინო ხელშეკრულება. როგორც ნოტარიუსთა პალატაში განმარტავენ, საქორწინო ხელშეკრულება მოწმდება სანოტარო წესით და განსაზღვრავს მეუღლეებს შორის ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს ქორწინების განმავლობაში და განქორწინებისას.

ხელშეკრულება ფორმდება როგორც ქორწინების რეგისტრაციისას არსებულ, ასევე, ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე და დგინდება თითოეული მეუღლის კუთვნილება და უფლება აღნიშნულ ქონებაზე.

ამასთან, ხელშეკრულებით შეიძლება, განისაზღვროს საოჯახო ხარჯების გაწევის წესი ქორწინების განმავლობაში და ქორწინების შეწყვეტის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ საქორწინო ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისას თითოეული მეუღლის უფლება და სურვილი თანაბრად არის გათვალისწინებული და გამორიცხულია ისეთი პირობების ჩადება, რაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს ერთ-ერთ მეუღლეს.

სანოტარო წესით დამოწმებული საქორწინო ხელშეკრულება მარტივი და ცივილიზებული ფორმაა ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში მეუღლეთა შორის ქონებაზე დავის მოსაგვარებლად.

ქონებრივი უფლებების განაწილების აღნიშნული ფორმა აპრობირებულია ევროპის ქვეყნებში. საქართველოში საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების სტატისტიკა ყოველწლიურად უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იზრდება.

მედიანიუსი

ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# პარლამენტში აპარატურა მწყობრიდან გამოვიდა

შორენა მარსაგიშვილი

ქუთაისში მდებარე პარლამენტის შენობა აშკარად დაწყევლილია. 360-მილიონიან შენობაში ხან ჭერი



ჩამოიქცა და ხან ფანჯრები ჩაილეწა. წვიმიან ამინდში კი აქ ჩვეულებრივად წვიმს. ნათურები კი ისე ცვივა, როგორც შემოდგომაზე ხეებს ფოთლები.

კარგა ხანია პარლამენტის შენობა მსგავს გაუგებრობაში აღარ მოყოლილა. გუშინ კი ამ შენობას მორიგი უბედურება დაატყდა თავს. პარლამენტის პლენარული სხდომის დარბაზში აპარატურა მწყობრიდან გამოვიდა.

საკანონმდებლო ორგანოში, მოგეხსენებათ, რომ რიგგარეშე სხდომები მიმდინარეობს. აპარატურის გამორთვამ ჩვენს კანონმდებლებს მუშაობის წყურვილი ვერ ჩაუქრო და მათ საკომიტეტო დარბაზში გააგრძელეს მოღვაწეობა.

— იმის გამო, რომ სხდომათა დარბაზში ელექტრონული ტექნიკა მწყობრიდან გამოვიდა, სანამ მისი შეკეთება არ მოხდება, ჩვენ გადავწყვიტეთ, მუშაობა გაგვეგრძელებინა სხვა გარემოში. ამის თაობაზე იყო კონსულტაციები პოლიტიკურ დონეზე და ტექნიკურ დონეზე. პარლამენტი უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას და ჩვენ ვიმუშავებთ დარბაზიდან, რომელშიც კომიტეტები მუშაობენ. კენჭისყრისთვის ჩვენ გადავინაცვლებთ სხდომათა დარბაზში, ამ დროისთვის თუ აპარატურა მწყობრში არ მოვა, კენჭისყრა ჩატარდება სხვა, უფრო ტრადიციული და ზოგჯერ უფრო საიმედო მეთოდებით, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა.

კანონმდებლები ამ ინციდენტს გაგებით მოეკიდნენ. უფრო გაგებით მოეკიდებოდნენ სახლებში, რომ გაეშვათ მაგრამ ხანდახან ხომ უნდა იმუშაონ კიდეკაც.

საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი აპარატურის მწყობრიდან გამოსვლას შემთხვევითობად სულაც არ მიიჩნევს. მას გონივრული ეჭვი აქვს, რომ აპარატურამ ქვეყანაში არსებული უძრაობა ვეღარ აიტანა და თავადაც გაჩერდა.

— გაფუჭდა სარეგისტრაციო სისტემა. არ მუშაობს მიკროფონები. ალბათ სიმბოლურია, როცა ქვეყანაში არაფერი მუშაობს და პარლამენტშიც გაჩერდა. კომიკური და სასაცილოა ეს ყველაფერი, — გიორგი კანდელაკმა ჟურნალისტებს.

# ოთარ დანელია: რუსეთში ქართული პროდუქციის ექსპორტი შეუფერხებლად მიმდინარეობს“

სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ დანელიას განცხადებით, ამ ეტაპზე რუსეთში ქართული პროდუქციის ექსპორტი აქტიურად მიმდინარეობს. დანელია ამ განცხადებით საქართველოსა და რუსეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შეჩერების გადაწყვეტილებას გამოეხმაურა.

„2014 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით,რუსეთის ფედერაციაში 105 000 აშშ დოლარზე მეტი ღირებულების (14 ათას ტონამდე) აგროსურსათის ექსპორტი განხორციელდა. ამ ეტაპზე აქტიურ ფაზაშია ქართული ატმისა და სხვა ხილ-ბოსტნეულის ექსპორტი“,-განაცხადა დანელიამ.

დანელიას თქმითვე, ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, საქართველომ ხელი ევროპასთან თავისუფალ სავაჭრო ურთიერთობას მოაწერა.

„საქართველო და რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნები არიან, შესაბამისად, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობები ამ ორგანიზაციის წესებით იქნება დარეგულირებული. რუსეთში ქართული პროდუქციის ექსპორტი შეუფერხებლად მიმდინარეობს“,-განაცხადა დანელიამ.

მინისტრის თქმით, საქართველოსა და რუსეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შეჩერების გადაწყვეტილება თანაბარ პირობებში როგორც ექპორტის, ასევე იმპორტის დაბეგვრას გამოიწვევს, ეს კი ნამდვილად არა არის კატასტროფა ქართული პროდუქციის რეალიზაციის თვალსაზრისით.

ნიუსპრესი

# ნინო ბურჯანაძე: ძალიან კარგად ვიცი, როდის რა უნდა ვთქვა“




კოალიცია „ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციის ლიდერი“ ნინო ბურჯანაძე, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელს კახა კოჟორიძეს მოუწოდებს, ვიდრე კომენტარს გააკეთებს და სხვის პასუხისმგებლობაზე ისაუბრებს, კარგად წაიკითხოს მისი ინტერვიუები და ჩვენებები.

„თითქმის ყველაფერი, რაც ამ დაკითხვის ოქმებშია, მე სხვადასხვა დროს ინტერვიუებში მაქვს ნათქვამი და როდის რას ვიტყვი, ამას ნურც კოჟორიძე მიკარნახებს და ნურც სხვა ვინმე. მე ძალიან კარგად ვიცი როდის რა უნდა ვთქვა პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან და სამართლებრივი ვალდებულებულებიდან გამომდინარე. ვიდრე კომენტარებს გააკეთებენ და სხვის პასუხისმგებლობაზე ილაპარაკებენ, კარგად წაიკითხონ ჩემი ინტერვიუები და ჩვენებები, შემდეგ კი ანალიზი გააკეთონ“ — განაცხადა ბურჯანაძემ.

ნიუსპრესი

# გოგა ხაჩიძე პრემიების გაუქმების წინააღმდეგია

## რამდენი ათასი პრემია აიღო დეპუტატმა მინისტრობის დროს

შორენა მარსაგიშვილი

**ქვეყანაში სიცხე და პრემიების სკანდალი მძვინვარებს. საოცნებო მინისტრებმა და დეპუტატებმა ისეთი პრემიები გამოიწერეს ნაცმოძსაც რომ არ დასიზმრებია. ამ მიმართულებით ისეთი საგანგაშო ვითარება შეიქმნა, რომ მთელი რიგი საკანონმდებლო ინიციატივები გახდა საჭირო.**

რამდენიმე დღის წინ დეპუტატმა თინა ხიდაშელმა ბიუროს სხდომაზე საკანონმდებლო ინიციატივა დაარეგისტრირა. ხიდაშელის ინიციატივა „საჯარო სამსახურის შესახებ“, ასევე „საქართველოს პარლამენტის წევრის შესახებ“ კანონში და პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს.

აღნიშნული კანონპროექტით, დგინდება ნუსხა იმ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და სხვა თანამდებობების პირების, ვისთვისაც იკრძალება პრემიის მიღება. ამასთანავე, წესრიგდება სხვა მოხელეებისთვისაც გასაცემი პრემიების ზღვრული ოდენობა და ჯერადობა. გარდა ამისა, დგინდება საჯარო მოხელეებისთვის ფულადი ჯილდოს ფარგლები.

ცვლილებების მიხედვით, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 37-ე მუხლს ემატება ახალი პუნქტი, რომლის თანახმად აკრძალულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის, ან ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებებიდან პრემიის, ფულადი ჯილდოს, ან სხვა ანაზღაურების მიღება ამ კანონის პირველი მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრული, საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით გათვალისწინებული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობების პირების მიერ, აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობის წევრის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების საკრებულოების წევრების, თვითმმართველი ქალაქების მერების, გამგებლების, გუბერნატორების მიერ, საქართველოს კონსტიტუციის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციის შესაბამისად არჩეული, დანიშნული, ან დამტკიცებული თანამდებობის პირების მიერ. ამ პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის პირების ხელფასი განისაზღვრება ამ კანონის 37-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, პრემიის გარეშე.

მოქმედი კანონის, 37-ე მუხლის 1 პუნქტის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

ინტერნეტ პორტალ „ნეტგაზეთის“ ცნობით, ცვლილებები შედის 37-ე მუხლის მეორე პუნქტშიც. კერძოდ, სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება აქვს მოხელეზე, ზემოთ აღნიშნული ცვლილებებით გათვალისწინებული პირების გარდა, ზეგანაკვეთური მუშაობის, სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულების და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, არასამუშაო საათებში დიდი მოცულობის დავალების შესრულებისთვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის, ან მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული სირთულის დავალების შესრულებისთვის კვარტალში ერთხელ გასცეს პრემია პრემირებაზე წარმდგენი პირის მიერ სათანადო წერილობითი დასაბუთების საფუძველზე. მოხელის მიერ ერთჯერადად მიღებული პრემია არ უნდა აღემატებოდეს მისი ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს ორმაგ ოდენობას.

გარდა ამისა, კანონპროექტი შეეხება ერთდროული ფულადი ჯილდოს საკითხს. კერძოდ, წახალისების ეს ფორმა გამოიყენება კალენდარული წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ და მისი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მოხელის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს ორმაგ ოდენობას.

კანონპროექტი სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებს ავალდებულებს 2014 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყონ პრემიების ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის მიღება ამ კანონპროექტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

„პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრის ხელფასი მოიცავს მხოლოდ კანონით დადგენილ თანამდებობრივ სარგოს, ასევე პარლამენტის ბიუროს მიერ განსაზღვრულ სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელების თანხას და კანონით განსაზღვრულ დანამატებს. კანონპროექტი არ ითვალისწინებს პარლამენტის წევრის მიერ პრემიის აღების შესაძლებლობას.

საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატის გოგა ხაჩიძის განცხადებით, სახელმწიფო-პოლიტიკური და სხვა თანამდებობის პირებისთვის პრემიების გაუქმება სწორი არ არის.

— თუ თანამშრომელი რაღაც კარგს ჩაიდენს და მისი წახალისება შეიძლება, რატომ არ უნდა მისცე პრემია. ვიღაცა ღორმა თუ 30 ათასი გამოიწერა პრემია, ამის გამო პრემირების გაუქმება, ვფიქრობ, სწორი არ არის. ამას ზომიერად და კარგად შეფასება სჭირდება, — განაცხადა ხაჩიძემ.

რომელიც პრემიების მიმართ გულგრილი არასდროს ყოფილა. მინისტრის პოსტზე ყოფნისას მან საკმაოდ სოლიდური პრემია გამოუწერა საკუთარ თავს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის გოგა ხაჩიძეს 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 ნოემბრამდე 62 580 ლარის პრემია დაერიცხა (საშემოსავლოს ჩათვლით).

ამ მხრივ განსაკუთრებული მადა გამოავლინეს საოცნებო მინისტრებმაც. 2013 წელს მინისტრებმა და მათმა მოადგილეებმა ხელფასის გარდა 9-მილიონამდე ლარი მიიღეს. მინისტრე-



ბის ხელფასებმა და პრემიებმა რამდენიმე ათასი შეადგინა. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მონაცემების თანახმად, 2013 წელს ყველაზე მეტი პრემია თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ აიღო და მისი სახელფასო დანამატი 83 076 ლარს შეადგენს. როგორც სამინისტროში განმარტავენ, თავდაცვის მინისტრის შრომის ანაზღაურება განსხვავებულად ფორმირდება.

პრემიერ-მინისტრის ბრძანებით დადგენილი სახელფასო დანამატის (4435 ლარი) გარდა თავდაცვის მინისტრი ყოველთვიურად იღებს საკლასო ჩინის დანამატს (1239 ლარი), სტაჟის დანამატს (885 ლარი) და საიდუმლოს დანამატს (531 ლარი), რაც ყოველთვიურად სახელფასო დანამატის სახით სულ 6 900 ლარს შეადგენს.

რაც შეეხება სხვა მინისტრებს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის სახელმწიფო დანამატმა 50 885 ლარი შეადგინა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ — 50 045 ლარის პრემია მიიღო, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა — 49 267 ლარი, გარემოს დაცვის მინისტრმა ხათუნა გოგალაძემ — 47 935, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ყოფილმა მინისტრმა დავით ნარმანიამ, სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა დავით დარახველიძემ, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა 47 685-47 685 ლარის პრემია აიღეს. საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ 43 350, სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ — 42 525, განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ კი — 25 034 ლარის სახელფასო დანამატი აიღეს.

# დღეს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა გაიმართება

1 აგვისტოს 15:00 საათზე, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის დარბაზში (საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შენობა, მე-7 სართული) გაიმართება საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა.

დღის წესრიგით გათვალისწინებულია ნატო-ს უელსის სამიტისთვის მზადებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, — აცნობეს „მედიანიუსს“ უშიშროების საბჭოდან.

მედიანიუსი

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

ქ-ნი მარინა

☎ 599-90-54-78, 234-02-38

# მიხეილ სააკაშვილი: პოლიტიკური თავშესაფარი არაფერში მჭირდება!“

შორენა მარსაგიშვილი

**ექს-პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს გაგებით ეკიდება. საქართველოში ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკურ თავშესაფარს მოითხოვს. ამ ინფორმაციას ყოფილი პრეზიდენტი კატეგორიულად უარყოფს.**



კითხვაზე, დგას თუ არა საკითხი, რომ მიხეილ სააკაშვილმა რომელიმე ქვეყანას პოლიტიკური თავშესაფარი მოსთხოვოს, სააკაშვილი ასე პასუხობს: „რა სისულელეა. რაში მჭირდება მე პოლიტიკური თავშესაფარი. ხომ ხედავთ, რომ ყველა ქვეყანაში დიდი სიამოვნებით მიღებენ?!“.

ეს განცხადება მიხეილ სააკაშვილმა უნგრეთში ყოფნის დროს გააკეთა. თბილისში ეჭვობენ, რომ სწორედ უნგრეთი მისცემს მას პოლიტიკურ თავშესაფარს. ამ ქვეყანამ ზურაბ ადეიშვილი უკვე შეიფარა.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი შემთხვევითობად არ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ მიხეილ სააკაშვილი უნგრეთში ჩავიდა. მისი თქმით, უნგრეთის პრემიერი ექს-პრეზიდენტის მეგობარია.

— მე კიდევაც ვთქვი, როდესაც ბრალი წაუყენეს, ვიცოდი, სადაც იქნებოდა სააკაშვილი. ის იმ ქვეყანაში იქნებოდა, რომელმაც ზურაბ ადეიშვილს პოლიტიკური თავშესაფარი მისცა. უნგრეთის პრემიერი და ყოფილი პრეზიდენტი დიდი ხნის მეგობრები არიან და ერთად მიუძღვით ბრალი ბევრ რამეშიც. სააკაშვილს აუცილებლად დასჭირდება პოლიტიკური თავშესაფარი, რათა არ მოხვდეს განსასჯელის სკამზე, — განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე ბერძენიშვილის მსგავსად ეჭვობს, რომ სააკაშვილი თავშესაფარს უნგრეთში მოითხოვს.

— როცა პრეზიდენტი იყო, მაშინაც საქართველოში არ იყო, ჰაერში იყო სულ და აგრძელებს, ეს მისი ხასიათია, მაგრამ როგორც ჩანს, უნგრეთი მისთვის უფრო კარგი ადგილია, იმიტომ, რომ ზურა ადეიშვილიც იქ ჰყავს შეფარებული, თვითონაც ეტყობა, ეძებს თავის ბუდეს, სადაც შეიძლება თავი შეაფაროს. მე მოვუწოდებდი მას, ჩამოვიდეს თავის ქვეყანაში და თუ მართალია, დაიცვას თავი, — განაცხადა საგანელიძემ.

სააკაშვილი კი ჯიუტად ამტკიცებს, რომ პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნას არ აპირებს, მან უკვე დატოვა უნგრეთი. ხოლო სანამ წამოვიდოდა რამდენიმე ხმაურიანი განცხადება გააკეთა.

როგორც პროკურატურა იუწყება, სააკაშვილის საქმე 80 ტომს შეადგენს. მის წინააღმდეგ უამრავმა ადამიანმა მისცა ჩვენება. ერთ-ერთი მათგანი პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეა. ეს ნაპრეზიდენტალს არ გაჰკვირვებია, მეტიც, მან პროკურატურას რჩევაც მისცა. იმ ხალხის სია ჩამოთვალა რომლებიც მის წინააღმდეგ მისცემენ ჩვენებას.

— პირდაპირ პუტინისგან აიღონ ჩვენება არ ჯობია?! პუტინი და მედვედევი იქნებიან ყველაზე კარგი ჩვენების მიმცემები. პუტინი, მედვედევი და გენერალი ბორისოვი.. შემიძლია გრძელი სია მივცე ვინც მისცემს ჩემზე მათთვის სასურველ ჩვენებებს, — განაცხადა სააკაშვილმა.

მისი თქმით, ერთადერთი ქვეყანა, სადაც მის წინააღმდეგ გამოძიების დაწყება უხარიათ არის რუსეთი:

— ამერიკელი სენატორების მხარდაჭერა ნიშნავდა იმას, რომ ერთადერთი ქვეყანა, სადაც უხარიათ, რომ მასამართლებენ არის ჩვენს ჩრდილოეთით და ყველა სხვაგან, ვინც არის ჩვენი მეგობარი და გვიცავს და მათზე ვართ დამოკიდებული, ყველა არის გაბრაზებული. აშკარაა ვისი დაკვეთით ხდება, თუ ადამიანი სულელი არ არის. შეუკვეთეს, 2 მილიარდი გადაიხადეს და ერთი დაკომპლექსებული ოლიგარქის ინსტინქტები, ბოღმა დაემთხვა მთავარი მოთამაშის, რუსეთის, ინტერესებს. ეს არის და ეს... იმიტომ, რომ აღიზიანებთ ჩემი აქტიურობა უკრაინაში. რანაირად უნდა შემიზღუდონ გადაადგილება ხომ ხედავთ, რომ აგერ ვარ, გზივარ აგერ, ევროპის მთავარ ქვეყანაში მის ხელმძღვანელთან ერთად. ბევრად მეტ ადგილას დავრბივარ, ვიდრე მოქმედი მთავრობის თავმჯდომარე და კიდევ უფრო ნაკლებში ივლიან იმის ფონზე, რასაც ისინი აკეთებენ. ვივლი და ვივლი საქართველოს საკეთილდღეოდ და ვერავინ ვერ შემზღუდავს. ერთადერთი ქვეყანა, სადაც ვერ ჩავდივარ ეს არის საქართველო. სამწუხაროდ, იმიტომ, რომ შვილი მეზრდება საქართველოში, მენატრება ჩემი შვილი და ჩემი ოჯახი მთლიანად. მაგრამ ამის მიუხედავად გავუძლებთ. მენატრება ჩემი ქვეყანა ძალიან. ეს არის ძალიან ძალიან დროებითი მოვლენა. ჩვენ აუცილებლად ბოლომდე მივიყვანთ ჩვენს დაწყებულს საქმეს, — ამბობს ექსპრეზიდენტი.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ მიხეილ სააკაშვილზე საუბარი არ ისურვა. ამის მიზეზად პრემიერმა ქართველი ჯარისკაცები დაასახელა. ის გუშინ ვაზიანის პოლიგონზე სამხედრო სწავლებას დაესწრო და ვენი სამხედროების პროფესიონალიზმით აღფრთოვანებული დარჩა.

— მას შემდეგ რაც ჩვენს ჯარისკაცებს ვუყურე, მართლაც საამაყო ადამიანების და ბიჭების გვერდით ვიდექი, ამიტომ არ მინდა ყოფილ პრეზიდენტ სააკაშვილზე გავაკეთო რაიმე კომენტარი, მას პასუხს ობიექტური გამოძიება გასცემს, ჩვენ მაქსიმალურად გამჭვირვალე ვიქნებით, ამასთან დაკავშირებით განცხადება გუშინ გავაკეთე და არ მსურს დამატებით კომენტარი გავაკეთო, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერისგან განსხვავებით ამ ამბით საოცრად ყოფილან დაინტერესებული კეტრინ ეშტონი და შტეფან ფულე. მათი პრესმდივნები საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის წარდგენასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებენ. „ახალი თაობა“ მას უცვლელად გთავაზობთ:

— ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს მოვლენებს და შეშფოთებულნი ვართ საქართველოს პროკურატურის მიერ ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სისხლის სამართლებრივი დევნის გამო. კანონზე მაღლა არავინ დგას, თუმცა საქართველოში სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა იყოს გამჭვირვალე, პროპორციული, პოლიტიკური მიზნებისგან თავისუფალი და წარიმართოს კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო გარანტიების მკაცრი დაცვით. ევროკავშირი ყურადღებით დააკვირდება ყოფილი მთავრობისა და დღევანდელი ოპოზიციის წევრების მიმართ სისხლის სამართლის ამ და სხვა საქმეების მიმდინარეობას.

ევროკავშირი შეახსენებს საზოგადოებას, რომ ,,ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის“, რომლის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა მხოლოდ ორი კვირის წინ მოახდინა, ავალდებულებს საქართველოს, დაიცვას საერთო ღირებულებები, კანონის უზენაესობისა და სწორი მმართველობის პრინციპების ჩათვლით.

მოვუწოდებთ ქართული პოლიტიკის მონაწილე ყველა მხარეს, თავი დააღწიონ წარსულში არსებულ კონფლიქტებს და ძირითადი ყურადღება ქვეყნის მომავლისკენ მიმართონ. საქართველოს წინაშე დიდი გამოწვევებია და მათთან გამკლავებას სჭირდება ხელმძღვანელობა, რომელიც იყურება წინ და მზადაა, დაამსხვრიოს პოლარიზებული პოლიტიკის ჩარჩოები, — ნათქვამია ეშტონისა და ფულეს პრესმდივნების განცხადებაში.

## ვაზიანის პოლიგონზე საველე სწავლება ვაზიანი 2014“ გაიმართა

ვაზიანის პოლიგონზე ბატალიონის ტაქტიკური ჯგუფის ამოცანაზე ორიენტირებული საველე სწავლება „ვაზიანი 2014“ გაიმართა. საჩვენებელ წვრთნას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია და გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე დაესწრნენ. ვაზიანის პოლიგონზე თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელი პირები, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი, უშიშროებისა და კრიზისების მართვის საბჭოების წარმომადგენლები და „ჯარის მეგობართა საზოგადოების“ გამგეობის წევრებიც იმყოფებოდნენ.

ტაქტიკურ სწავლებას სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ ოპერატიული დაჯგუფების სარდალი, პოლკოვნიკი ალექსანდრე კიკნაძე ხელმძღვანელობდა. მან მოწვეულ სტუმრებს წვრთნის მიზანი და ამოცანა, ასევე, მონაწილე ელემენტების, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მოწინააღმდეგის სავარაუდო გეგმის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, „ვაზიანი 2014“ თავდაცვით ბრძოლაში კომბინირებული ძალების ურთიერთქმედების დახვეწას, დაქვემდებარებულ ქვედანაყოფებში მართვისა და კონტროლის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად.

სწავლებისთვის შეიქმნა სპეციალური პროგრამა. იმიტირებული სცენარის მიხედვით, წვრთნების მთავარი ამოცანა იყო, ქართულ ქვედანაყოფებს არ დაეშვათ მოწინააღმდეგის ძირითადი ძალებისთვის პლაცდარმის შექმნა და შეტევის განვითარება სიღრმეში. სწავლება მასშტაბური ხასიათის იყო და მასში საქართველოს შეიარაღებული ძალების მარნეულის საავიაციო ბრიგადამ, IV მექანიზებული ბრიგადის 43-ე ბატალიონის პირადმა შემადგენლობამ და სამედიცინო ჯგუფმა, სპეციალური ოპერაციების ძალების წარმომადგენლებმა, ასევე, საარტილერიო, საინჟინრო და სატანკო ქვედანაყოფებმა მიიღეს მონაწილეობა. „ვაზიანი 2014“-ში 661 სამხედრო მოსამსახურესთან ერთად, ორი ერთეული შუ-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი, ორი ერთეული №-39 სასწავლო მოიერიშე თვითმფრინავი, სამი ერთეული „იროკეზი“-ს ტიპის შვეულმფრენი, IV მექანიზირებული ბრიგადის 45-ე ბატალიონის თ-72 ტიპის 17 ტანკი, ქვეითთა საბრძოლო მანქანა 2-შ1 თვითმავალი ჰაუბიცა და სხვა საარტილერიო სისტემები იყო ჩართული.

„ვაზიანი 2014“-ის დასრულების შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა, თავდაცვის მინისტრმა და გენერალური შტაბის უფროსმა, მოწვეულ სტუმრებთან ერთად, მართვის პუნქტი დაათვალიერეს და პირად შემადგენლობას სწავლების წარმატებით ჩატარება მიულოცეს.

ნიუსპრესი

## ირაკლი ღარიბაშვილი: კრემლის გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა“

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, სავაჭრო შეთანხმების შეჩერებასთან დაკავშირებით, კრემლის გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა, თუმცა მას რუსეთთან კონსესუსის იმედი აქვს.

აღნიშნული განცხადებით პრემიერი რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც, საქართველოსა და რუსეთს შორის 1994 წელს ხელმოწერილი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება შეჩერდა.

ღარიბაშვილმა საკითხის შესწავლა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში მის სპეციალურ წარმომადგენელს ზურაბ აბაშიძეს დაავალა.

აღნიშნულ საკითხზე, ორმხრივი შეხვედრის ფორმატში, აბაშიძე და კარასინი პრაღაში იმსჯელებენ.

„რუსეთის მხარესთან საუბარი გვექნება და მიმაჩნია, რომ შეთანხმებას მივაღწევთ. ეს არ არის ტრაგედია. გვექნება საუბარი და კომენტარს მოგვიანებით გავაკეთებთ“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

ნიუსპრესი

## თედო ჯაფარიძე: სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი ჩვენმა მეგობარმა ამერიკელმა სენატორებმაც უნდა დაიცვან“

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე, ამერიკელი სენატორების იმ განცხადებას პასუხობს, რომლის თანახმადაც, ისინი მიხეილ სააკაშვილის მიმართ ბრალის წაყენებით იმედგაცრუებულები არიან.

ჯაფარიძის თქმით, ამ განცხადების ავტორები საქართველოს დიდი ხნის მეგობრები არიან და მათ უაღრესად დიდი ღვაწლი მიუძღვით ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღრმავებაში და სწორედ ამ ფაქტორის გამო, სასწრაფოდ უნდა გავერკვეთ სიტუაციაში და უნდა გავაანალიზოთ საქართველოს ხელისუფლების პროტესტი აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით.

„საქართველოს მთავარმა პროკურორმა ამ დღეებში მოკლე განცხადება გააკეთა ბოლო დროს აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით. მე ვითვალისწინებ სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპს და პროკურორის მიერ დასმული საკითხის არსის კომენტირებისგან თავს ვიკავებ. ამდენად, მიმაჩნია, რომ ეს პრინციპი ჩვენმა მეგობარმა ამერიკელმა სენატორებმაც უნდა დაიცვან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს საფუძველი ვარაუდისათვის, რომ საქმის განხილვის კანონიერი პროცედურები დაირღვა, რაც, სამწუხაროდ, წინა ხელისუფლების ცხრაწლიანი რეჟიმის დროს გავრცელებული პრაქტიკა იყო. ამ შემთხვევაში კანონის უზენაესობა გამოწვევების წინაშე დგება. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ აღნიშნულ ერთობლივ განცხადებას თან უნდა ახლდეს კონკრეტული მტკიცებულება.

როგორც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი აღნიშნავს, კანონის უზენაესობა იმას ნიშნავს, რომ კანონი ყველამ უნდა დაიცვას და სამართლებრივი სისტემა პოლიტიკური ანგარიშსწორების ინსტრუმენტად არ უნდა იქნეს გამოყენებული. აქედან გამომდინარე, თუ ვინმე საეჭვოს ხდის საქართველოში კანონის უზენაესობის დაცვას, მან უნდა დაასაბუთოს ის, რომ ცალკეული პირები კანონზე მაღლა დგანან ან რომ პოლიტიკური ანგარიშსწორების მიზნით სამართლებრივი პროცედურები დაირღვა“ — აცხადებს ჯაფარიძე.

მისივე თქმით, ორივე შემთხვევა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც სერიოზული ბრალდება მოკავშირე სახელმწიფოს წინააღმდეგ, განსაკუთრებით, როცა ეს ბრალდება სათავეს ვაშინგტონიდან იღებს.

„ეს მნიშვნელოვანია, ვინაიდან აშშ მარტო ჩვენი მოკავშირე ქვეყანა არ არის - უკვე დიდი ხანია, იგი საქართველოს დამოუკიდებლობის, დემოკრატიზაციისა და ლიბერალიზაციის აქტიური დამცველია. აშშ-ს ჩვენს ევროპელ პარტნიორებთან ერთად არაერთხელ გაუწევია ჩვენთვის მატერიალური დახმარება. ამასთანავე, ის მრჩევლის როლს ასრულებდა და საქართველოს ტრანსფორმაციის რთულ პროცესებს აკვირდებოდა. მიუხედავად ამისა, დემოკრატიული კონსოლიდაცია მიღწეული ვერ იქნება სხვადასხვა კრიტერიუმის გაუთვალისწინებლად. კერძოდ, კონსოლიდაცია შესაბამის პროცესში ნდობის არსებობას მოითხოვს. ამასთანავე, ჩვენი ღრმა რწმენით, არავინ არ დგას კანონზე მაღლა და კანონის მიღმა.

აღნიშნული ნდობის ფაქტორი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს სასამართლო პროცესის მიმართ ნდობას, რაც კანონის წინაშე ყველას თანასწორობის რწმენით გამოიხატება. ეს ნდობა მოითხოვს, პირველ რიგში, ადამიანის უფლებების დარღვევის ყველა შემთხვევის სრულ და ჯეროვან გამოძიებას და წარსული, ახლანდელი და მომავალი ხელისუფლებების იმ წარმომადგენელთა საქმიანობის დროულ შესწავლას, რომლებმაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს ძალაუფლების კონტროლისა და დაბალანსების სისტემაში თავიანთ უფლებამოსილებას გადააჭარბეს. კანონის უზენაესობის აღნიშნული პრინციპის მნიშვნელობა და წარსულში ადამიანის უფლებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა წინა კვირაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტმა მის მიერ საქართველოს შესახებ გაკეთებულ დასკვნაში მოიხსენია. ეს დოკუმენტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გამოიძიოს ყოფილი ხელისუფლების რეჟიმის დროს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტები, მათ შორის, 2007 წლის 7 ნოემბრის მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევის ფაქტი. ასევე აღსანიშნავია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მოხსენებები, რომლებშიც დეტალურად არის ასახული ის ინციდენტები, რომლებზედაც გამოძიება მიმდინარეობს“, — ნათქვამია კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებაში.

## ომბუდსმენი პროკურატურას თბილისის მერიის თანამშრომლების დაკავების საქმის გამოძიებისკენ მოუწოდებს



სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა, გუშინ კანონმდებლებს, ადამიანის უფლებების კუთხით არსებული 2013 წლის ანგარიში გააცნო.

სახალხო დამცველმა ყურადღება სხვადასხვა უწყებაში გამოვლენილ დარღვევებზე გაამახვილა და მთავარ პროკურატურას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრებზე არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებაზე რეკომენდაციით მიმართა.

როგორც უჩა ნანუაშვილმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, საგამოძიებო უწყებამ მათ შორის, შს ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის საქმეც უნდა გამოიძიოს.

,,სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, პატიმრებზე, ადმინისტრაციისა და სხვა პატიმართა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტები, ასევე, სათანადო საფუძვლის გარეშე მსჯავრდებულის ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანის ფაქტები გამოვლინდა. ამ საკითხების მოწესრიგების მიზნით, სახალხო დამცველი მთავარ პროკურორს რეკომენდაციით მიმართავს, რათა ეს საქმეები გამოიძიოს. გამოძიებულ უნდა იქნას, სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრებისადმი არასათანადო მოპყრობის ყველა ფაქტი",-აცხადებს ნანუაშვილი.

სახალხო დამცველის განცხადებითვე, კანონდარღვევა იყო, 2013 წლის ივნისში, მერიისა და საკრებულოს წევრების დაპატიმრება, რაც ასევე, მთავარმა პროკურატურამ საფუძვლიანად უნდა გამოიძიოს.

,,2013 წლის ივნისში, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლების დაკავება კანონდარღვევით მოხდა და ამ ფაქტს გამოძიება უნდა მოჰყვეს. ლეგიტიმური კითხვები რჩება ე.წ. ტრაქტორების საქმეშიც, რაც გამოძიების სრულყოფილად ჩატარებას მოითხოვს",– აღნიშნა უჩა ნანუაშვილმა.

ნიუსპრესი

## გიორგი მარგველაშვილმა 280 მსჯავრდებული შეიწყალა



საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა 280 პატიმარი შეიწყალა.

აღნიშნულ საკითხზე, შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ, ზვიად ქორიძემ გუშინ პრეზიდენტის რეზიდენციაში ბრიფინგი გამართა.

ზვიად ქორიძის განცხადებით, შეწყალებულ პატიმართა ნაწილი საპატიმროებს დღეიდან დატოვებს, ნაწილს კი სასჯელი გაუნახევრდა.

,,პირველი ივლისიდან შეწყალების კომისიამ სულ 3000-მდე განაცხადი განიხილა. აქედან, 1228 განცხადება იმ კრიტერიუმებს სრულად აკმაყოფილებდა, რომელიც კომისიის დებულებითაა განსაზღვრული. შეწყალებულთა შორის 8 ქალია, 10 კი არასრულწლოვანი.

280 შეწყალებული პატიმრიდან 111-ს სასჯელი გაუნახევრდება, დანარჩენები კი საპატიმროს დღეიდან დატოვებენ", — განაცხადა ქორიძემ.

ნიუსპრესი

## მესტიაში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად შსს-ს ადმინისტრაციის უფროსი გარდაიცვალა



შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მესტიაში, უბედური შემთხვევის შედეგად, შსს-ს ადმინისტრაციის უფროსი ეკატერინე კერესელიძე გარდაიცვალა. შსს მომხდართან დაკავშირებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და გარდაცვლილის ოჯახს თანაუგრძნობს.

ეკატერინე კერესელიძესთან ერთად მისი მეგობარი სასტუმრო „თეთნულდის" დირექტორ თეზო ჯაფარიძეც გარდაიცვალა. შემთხვევა გუშინ მოხდა. ისინი კვადროციკლით სეირნობდნენ, რა დროსაც მოტოციკლი ხევში გადაიჩეხა. ჯაფარიძეს ერთ-ერთი მეგობრის მცირეწლოვანი შვილი ახლდა თან. ის მძიმე დაზიანებებით ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მესტიაში მომხდარ ფაქტზე შს სამინისტროში სისხლის სამართლის საქმე 276-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიძრა, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების, ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

ნიუსპრესი

# როგორ უნდა გაიცეს პრემიები

### ინტერვიუ საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილე ნინო კობახიძესთან

***— ქალბატონო ნინო, ბოლო პერიოდში საზოგადოების აქტიური განხილვის თემად იქცა სახელმწიფო მოხელეთა პრემიების საკითხი. მთავრობის კანცელარიამ ამ აჟიოტაჟს უპასუხა პრემიერმინისტრის დადგენილებით. რას გულისხმობს ეს დადგენილება?***

— როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობა მუშაობს საჯარო სექტორის ფართომასშტაბიან რეფორმაზე, რომელიც ასევე გულისხმობდა პრემიების სამართლიანი გაცემის ახალ რეგულაციებს, თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ საზოგადოებაში ამ თემამ ფართო რეზონანსი გამოიწვია, ქვეყნის პრემიერის მითითებით, ეს საკითხი გამოეყო ერთიანი რეფორმის კომპლექსს და დაჩქარებული წესით მოხდა ახალი რეგულაციების შემოღება. უმთავრესი კრიტერიუმი, რითაც ვხელმძღვანელობდით, იყო ახალი რეგულაციების სამართლიანობა.

***— აქამდეც ხომ შეიძლებოდა პრემიების შემცირება, მით უმეტეს, რომ წინა ხელისუფლებას ხშირად აკრიტიკებდნენ გაუმართლებლად მაღალი პრემიებისთვის?***

— თქვენ შესაძლოა არ იცით, რომ 2013 წელს 2012 წელთან შედარებით 11 მილიონი ლარით ნაკლები პრემია და 32 მილიონით ნაკლები სახელფასო დანამატი გაიცა, მიუხედავად იმისა, რომ წინა ხელისუფლების დროს მიღებული კანონით საჯარო მოხელეებს ჰქონდათ იურიდიული უფლება — მეტი გამოეწერათ, თუმცა, ეს არ გაკეთდა სწორედ მორალური ასპექტის გათვალისწინებით. რეფორმის შემდეგ კი პრემიები უკვე იურიდიულადაც უზრუნველყოფს სამართლიანობას.



***— რა იგულისხმება სამართლიანობაში?***

— ძველი კანონმდებლობით საჯარო სამსახურების უფროსებს ჰქონდათ უფლება თავად განესაზღვრათ — ვის რა ოდენობის პრემიებს მისცემდნენ და ბევრი საკუთარ თავსაც უნიშნავდა პრემიებს.

***პრემიერმინისტრის დადგენილებით, პრემიების ოდენობა*** შეიზღუდა და გადაწყდა, რომ პრემიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელფასის ოდენობას და მისი გაცემა შეიძება მხოლოდ კვარტალში ერთხელ. გარდა ამისა, პრემიის გამოწერის საკითხს წყვეტენ მინისტრები, იმ შემთხვევაში, თუ ამა თუ იმ სამსახურს არ ჰყავს უშუალო ხელმძღვანელი, მისთვის პრემიის დამტკიცება მოხდება პრემიერმინისტრთან შეთანხმებით. ასეთი მიდგომით აღიკვეთება არამარტო მაღალი პრემიების გაცემა, არამედ პრემიების ხშირი გაცემაც და რაც მთავარია, პრემიების გაცემა მოხდება გაწეული სამუშაოს ობიექტური შეფასებით. საქართველოს მთავრობა ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვაზე და უწევს კონკურენცია კერძოსექტორთან. კერძო სექტორში ბევრად უკეთესი ანაზღაურებაა, ამიტომ საჭიროა პროფესიონალური და კვალიფიციური კადრების შესაბამისი მოტივაცია — სწორედ ამ მოტივაციისთვის არსებობს მსოფლიოში პრემიების და სახელფასო დანამატების პრაქტიკა. პრემიერის დადგენილებით მოხდება ერთიმხრივ მოტივაციის სამართლიანი წახალისება და მეორემხრივ პრემიების ოდენობის სამართლიანი ოდენობის განსაზღვრა და სამართლიანი გადანაწილება.

***— ქალბატონო ნინო, საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა მოჰყვა მთავრობის კიდევ ერთ ინიციატივას — ავტომობილების სანომრე ნიშნების გამოცვლას, როგორც მომსახურების სააგენტოს ყოფილმა უფროსმა, შეგიძლიათ თუ არა გაარკვიოთ მოსახლეობა დეტალებში?***

— 1 სექტემბრიდან საქართველოში შემოდის ახალი ტიპის, ევროსტანდარტების შესაბამისი სანომრე ნიშნები, რომელთა ფასი დარჩება იგივე — 35 ლარი. ძველი სანომრე ნიშნების გადასვლა ახალ სტანდარტებზე შესაძლებელი იქნება მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში და ამ შემთხვევაშიც ფასი იქნება 35 ლარი. ფასები შეიცვლება მხოლოდ ე.წ. პრესტიჟულ ნომრებზე. ჩემი აზრით, ავტომანქანის მეპატრონისთვის 6 წლის განმავლობაში 35 ლარიანი ნომრის გამოცვლა არ იქნება დიდი ტვირთი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამომავლოდ ნომრის შეცვლის აუცილებლობა აღარ არსებებს, რადგან ის სრულიად აკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს.

## შსს-ს მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებს ტრენინგები უტარდებათ

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 400-მდე თანამშრომელი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან, ორი თვის განმავლობაში, მომსახურების ხარისხის სტანდარტის, სტრესისა და კონფლიქტის მართვის საკითხებზე მიმდინარე ტრენინგს გაივლის.

ღონისძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში ტარდება. ტრენინგი მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა: ეფექტიანი მომსახურება, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია, პროფესიული სტრესი, კონფლიქტები და მათი მართვის სტრატეგია.

სწავლებაზე მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები სხვადასხვა როლურ თამაშებს და ლოგიკურ დავალებებს შეასრულებენ, რომელთა დახმარებით ისინი მომავალში, მოქალაქეებთან ურთიერთობას და პროფესიული საქმიანობის განხორციელებას უფრო ეფექტურად შეძლებენ.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ყოველდღიურად რამდენიმე ასეულ მოქალაქეს ემსახურებიან. მარტივი, სწრაფი, სანდო და მომხმარებელზე მაქსიმალურად ორიენტირებული სისტემის უზრუნველსაყოფად მუდმივად ხდება სააგენტოს თანამშრომლების სხვადასხვა სახის პროფესიული გადამზადება. შსს-ს მომსახურების სააგენტო, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მსგავსი ტრენინგების ჩატარებას მომავალშიც გეგმავს.

ნიუსპრესი

## შსს-მ 28 ტონა და 373 კგ კანაფი გაანადგურა



შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის ბრძანების საფუძველზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ნარკოტიკული საშუალებების განადგურების ღონისძიება სამცხე-ჯავახეთში, მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, აჭარაში, იმერეთში, კახეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ერთდროულად ჩატარდა.

შსს-ს სამხარეო სამმართველოების თანამშრომლებმა ველურად მზარდი კანაფი შესაბამისი წესების დაცვით გაანადგურეს.

სამართალდამცველებმა აღნიშნული რეგიონების სხვადასხვა სოფლების მიმდებარე ტერიტორიებიდან ამოღებული ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი სულ 28 ტონა და 373 კგ მცენარე გაანადგურეს.

კანაფის განადგურების პროცესს სამხარეო მთავარი სამმართველოების, რაიონული განყოფილების უფროსები და შსს-ს სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

ნიუსპრესი

## საზღვრის უკანონოდ კვეთის ფაქტზე, მესაზღვრეებმა ერთი მოქალაქე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის №1 სამმართველოდან (ბათუმი), მიღებული ზეპირი შეტყობინების საფუძველზე, საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს დასავლეთის საგამოძიებო განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, სარფში, სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე, საქართველოს მოქალაქე რაფიკ ა. დააკავეს , რომელიც სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას, უკანონოდ ცდილობდა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-344-ე მუხლის I ნაწილით მიმდინარეობს .

მედიანიუსი

## ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის მორიგი შეხვედრა გაიმართა

ერგნეთში, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის რიგით 47-ე შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე ქართულმა მხარემ ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე ღობეებისა და მავთულხლართების უკანონო მონტაჟით გამოწვეულ პრობლემებსა და ოკუპირებული ცხინვალის ციხეში უკანონო პატიმრობაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების შესახებ ისაუბრა.

შეხვედრაზე ასევე განიხილეს ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებში სასმელ და სარწყავ წყალთან დაკავშირებული პრობლემები და ოკუპირებული ახალგორის მიმართულებით ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებით არსებული შეზღუდვები.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის მორიგი შეხვედრა 19 სექტემბერს არის დაგეგმილი.

ნიუსპრესი

## სასაზღვრო რეჟიმის დარღვევის ფაქტზე საქართველოს მოქალაქე დაჯარიმდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის ოპერაციების მართვის მთავარი სამმართველოს I სამმართველოს (ფოთი) კანონაღსრულებისა და საზღვაო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა, ურეკის საზღვაო რაიონში, სასაზღვრო რეჟიმის (ზომამცირე გემით ცურვის წესების დარღვევა) დარღვევის ფაქტზე საქართველოს მოქალაქე გიორგი ა. დააჯარიმეს.

სასაზღვრო პოლიციის ინფორაციით, მოქალაქე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114 (პრიმა ორი) მუხლის V I ნაწილის შესაბამისად დაჯარიმდა.

მედიანიუსი

გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისაგან, ხასიათდარღვევი ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიური. დიდხანს სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და სამუდამოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:
სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეგიძლიათ ასსურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია. ძ-60 ძეთევანი

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ციხეებში ვითარება უკეთესობისკენ შეიცვალა“

გულიკო ბალაძე

**უფლებადამცველი გიორგი თევზაძე ანაკლიაში მასშტაბური საერთაშორისო ფესტივალის „კაზანტიპის“ ჩატარებას დაუშვებლად მიიჩნევს.**

— ამ ე.წ. ფესტივალს არაფერი აქვს საერთო ხელოვნებასთან და ქართულ ტრადიციებთან. კატეგორიულად დაუშვებლად მივიჩნევთ ანაკლიაში აგვისტოში ე.წ. ფესტივალ „კაზანტიპის“ გამართვას. ეს ღონისძიება სხვა არაფერია, თუ არა ანტიეროვნული, ანტიზნეობრივი და ანტიმართლმადიდებლური ღონისძიება, რომლის პირდაპირი დანიშნულებაა მომავალი თაობების ზნეობრივი გახრწნა, — აცხადებს გიორგი თევზაძე.

გიორგი თევზაძის თქმით, არც ერთი თეთრი მოგება არ ღირს იმის ფასად, რომ ჩატარდეს უმსგავსო და უზნეო ღონისძიება.

— გამაოგნებელია იმ პირთა კომენტარები, რომლებიც დადებითად აფასებენ და მხარს უჭერენ ამ „ფესტივალს“. ასევე სამწუხაროა ის პასიური მიდგომები და ცალკეულ შემთხვევებში მხარდამჭერი დამოკიდებულება ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან. ეს სამწუხარო რეალობა საკმაოდ მძიმე შედეგებს გამოიწვევს, მით უმეტეს, საუბარია წლების განმავლობაში საქართველოში ამ ღონისძიების ჩატარებაზე. ამ ფაქტის რეაგირების და აკრძალვის გარეშე დატოვების შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობა მომავალი თაობების წინაშე დაეკისრებათ მოქმედი ხელისუფლების კონკრეტულ პირებს, რომელთა კომპეტენციასა და, ამავე დროს, ვალდებულებას განეკუთვნება ასეთი საკითხების გადაწყვეტა საზოგადოების უმრავლესობის ნების გათვალისწინებით. საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის პოზიცია უარყოფითია ამ „ფესტივალის“ ჩატარებაზე. მედიასაშუალებებით მივმართეთ საქართველოს საპატრიარქოს და ვთხოვეთ, ამ ანტიღონისძიებასთან დაკავშირებით თავისი პოზიცია დაეფიქსირებინა საზოგადოებას. საპატრიარქომ უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა დაგეგმილ ღონისძიებასთან დაკავშირებით. ეს არის მთელი მართლმადიდებელი საზოგადოების ვალდებულება და პასუხისმგებლობა მომავალი თაობების წინაშე.

გიორგი თევზაძე არ იწონებს ასევე საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის თავმჯდომარე გიორგი სიგუას დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი.

— გიორგი სიგუა არა მარტო მხარს უჭერს ამ ფესტივალს, არამედ ამ ღონისძიების ორგანიზაციული ხელშემწყობი მხარეა. გიორგი სიგუას განცხადებით, სახელმწიფო არ არის ამ ღონისძიების ორგანიზატორი და მის ჩატარებაზე არ ხარჯავს თანხებს, თუმცა, სახელმწიფო ფესტივალის ფარგლებში უზრუნველყოფს უსაფრთხოებას. მიუხედავად იმისა, რამდენად გაემიჯნებიან ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი სიგუა, ეს პირები ვერ გაექცევიან მორალურ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე იმ ნეგატიურ შედეგებზე, რომელსაც მსგავსი „ფესტივალი“ აუცილებლად გამოიწვევს. დაუშვებელია, სახელმწიფოს პოლიტიკა და უმსგავსო ღონისძიებების ჩატარება შეიფუთოს მხოლოდ კანონის დაცვისა და სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამოცანებით. საზოგადოების ზნეობრივი გახრწნის პირდაპირი თუ არაპირდაპირი ხელშეწყობაზე ხელისუფლებას ისეთივე (თუ მეტი არა) პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორც საზოგადოების უსაფრთხოებისა და სახელმწიფო უშიშროების ფუნქციის არასათანადო შესრულებაზე. — ასეთია გიორგი თევზაძის პოზიცია.



ამ საკითხში გიორგი თევზაძე სრულად იზიარებს საქართველოს საპატრიარქოს პოზიციას.

— სრულად ვიზიარებთ საპატრიარქოს პოზიციას, რომ რა ფორმითაც არ უნდა შეინიღბოს და შეიფუთოს „ფესტივალი“, რამდენჯერაც არ უნდა აღინიშნოს, რომ არ იგეგმება არც ორგიები და არც ნარკოტიკების მოხმარება და მსგავსი უზნეო ქმედებები, ეს არც ცვლის ამ ღონისძიების დანიშნულებასა და შორს მიმავალ გეგმებს, მით უმეტეს, შეგნებულად თუ შეუგნებლად ამ ღონისძიების ჩატარება იგეგმება იმ დღეებში, როდესაც მართლმადიდებელი სამყარო ღვთისმშობლის მიძინების, იმავე მარიამობის დღესასწაულს ზეიმობს. ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით, მიუღებლად მიგვაჩნია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელ გიორგი სიგუას პოზიცია, რომელიც თანხვედრაში არ არის ქართველი საზოგადოების პოზიციასთან და ინტერესებთან. ყველა პასუხისმგებელი ხდება თავისი გადაწყვეტილებების მიხედვით. პასუხისმგებლობა ადრე თუ გვიან აუცილებლად დადგება.

***— ბატონო გიორგი, როგორ შეაფასებდით პენიტენციურ სისტემაში დღეს არსებულ მდგომარეობას?***

— პენიტენციურ სისტემაში, წინა ხელისუფლების პერიოდის გათვალისწინებით, ვითარება დადებითისკენაა შეცვლილი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ადგილი არ აქვს სისტემურ დანაშაულებს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სისტემაში იდეალური ვითარებაა. პერიოდულად ვიღებთ მსჯავრდებულთა საჩივრებს. მათ აქვთ სხვადასხვა სახის მოთხოვნები და პრეტენზიები ზოგ შემთხვევაში — სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელი პირების, ზოგ შემთხვევაში კი ცალკეული სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელი პირების მიმართ. ჩვენ გავავრცელეთ განცხადება, რომელიც ეხება №19 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის ლაშა ტაბატაძის ინტერესების დამცველის ვლადიმერ კიკნაძის განცხადებას. მსჯავრდებული ლაშა ტაბატაძე აცხადებს შიმშილობას იმის გამო, რომ მოქმედი ხელისუფლება ინერტულ დამოკიდებულებას იჩენს მისი მოთხოვნის შესრულებისადმი, მოხდეს წინა ხელისუფლების პირობებში განხორციელებული წამებისა და ღირსების შემლახველი მოქმედებების გამოძიება. ასევე მოითხოვს მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვას. განცხადების თანახმად, ლაშა ტაბატაძე ითხოვს ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრას. ლაშა ტაბატაძე ასევე თავს მიიჩნევს უკანონო მსჯავრდებულად და ითხოვს მის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვას. ლაშა ტაბატაძის განმარტებით, მისი შიმშილობის დაწყების საფუძველია ის უყურადღებობა, რასაც ხელისუფლება იჩენს მისი არაერთი განცხადებისა და თხოვნის მიუხედავად. ლაშა ტაბატაძე არ აპირებს შიმშილობის შეწყვეტას, სანამ არ დაიწყება წინასწარი გამოძიება მის საჩივრებში მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით. ლაშა ტაბატაძის პროტესტი პირველი შემთხვევა არაა მოქმედი ხელისუფლების პირობებში. არის საფრთხე, რომ მსგავსი ფაქტები გახშირდეს, რადგან დადასტურებული და თავად წინა ხელისუფლების მიერ აღიარებული სისტემური დანაშაულები, რომელსაც ადგილი ჰქონდა პენიტენციურ სისტემაში, ბუნებრივია, საზოგადოების პროტესტს გაზრდის წინა წლების უკანონობების სათანადო რეაგირების გარეშე დატოვების შემთხვევაში. ასევე რუსთავის №6 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებული უვადოდ მსჯავრდებული გოგიტა მჭედლიშვილი შიმშილობს საქმის გადასინჯვის მოთხოვნით. მისი განცხადებით, ეს პიროვნება მსჯავრდებულია 1998 წლიდან მხოლოდ ერთი მოწმის ჩვენების საფუძველზე, ყოველგვარი დასაბუთებისა და პროცესუალური ნორმების დაცვის გარეშე. მისი განმარტებით, იგი იძულებულია, ხელისუფლების ყურადღება მიიპყროს თვითდაზიანებების მიყენებით. გოგიტა მჭედლიშვილის განცხადება გადავაგზავნე მთავარ პროკურატურაში. ეს მსჯავრდებულიც აგრძელებს უვადო შიმშილობას, რამაც მის ჯანმრთელობას შეიძლება საგრძნობი ზიანი მიაყენოს. ჩვენ მივმართეთ შესაბამისი კომპეტენციის მქონე სახელმწიფო ორგანოებს დროულად და ადეკვატურად განახორციელონ ფაქტზე რეაგირება და გულისხმიერებით შეისწავლონ მსჯავრდებულის მოთხოვნები. თითოეული მსჯავრდებულის მოთხოვნებზე დროული რეაგირება, სახელმწიფოს პირდაპირ ვალდებულებაა. ანალოგიურად ფიქსირდება სხვა შემთხვევებიც, რომლის თაობაზეც მსჯავრდებულის ოჯახის წევრები მოგვმართავენ. წერილით მოგვმართა მსჯავრდებულ თამაზ კეკელიას ოჯახის წევრმა. მსჯავრდებულს სხვადასხვა დაავადებებთან ერთად აქვს „ც“ ჰეპატიტის რთული ფორმა. ჩვენ შესაბამისი განცხადებით მივმართეთ სასჯელაღსრულების სამინისტროს ამ კატეგორიის დაავადებების მკურნალობის სახელმწიფო პროგრამაში თამაზ კეკელიას ჩართვასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა, თვეზე მეტია ჩვენი განცხადება რეაგირების გარეშეა დატოვებული. ვგეგმავთ გავაძლიეროთ მონიტორინგი და საზოგადოებრივი კონტროლი, რათა სისტემის მხრიდან რეაგირება იყოს ადეკვატური. ვიმედოვნებ, მოქმედი ხელისუფლება სრულად გააცნობიერებს საზოგადოების გარკვეული ნაწილის ინტერესს სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით. სამართლიანობის აღდგენა, 1992 წლიდან უნდა დაიწყონ და მიიღონ პოლიტიკურად ადეკვატური გადაწყვეტილებები, რომ საზოგადოებას მიეცეს რეაბილიტაციის შესაძლებლობა. მომავალმა ხელისუფალმაც გააცნობიერონ პასუხისმგებლობის გარდუვალობა.

***— საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. მათ შორის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია გახდა ამ მემორანდუმის ხელმომწერი მხარე. რა მნიშვნელობას ანიჭებთ ამ მემორანდუმს?***

— ჩვენთვის ნამდვილად მნიშვნელოვანი მოვლენაა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერა. ამ შესაძლებლობისთვის გვსურს მადლობა გადავუხადოთ კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას. სწორედ მათი ინიციატივით გაფორმდა მიმდინარე წლის 9 ივლისს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სამინისტროსა და 31 არასამთავრობო ორგანიზაციას შორის (მათ შორის არის ადამიანის უფლებების დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია). გაფორმებული მემორანდუმი გულისხმობს თანამშრომლობას არასამთავრობო ორგანიზაციებთან კულტურის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესში. მემორანდუმის ფარგლებში მხარეები ვიღებთ ვალდებულებას, ვითანამშრომლოთ კულტურის სფეროში, რომელიც მოიცავს კულტურის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების მიმართულებას. ეს ის საკითხია, რომელზეც ჩვენს ორგანიზაციას აქვს გარკვეული ხედვები და რომლითაც შესაძლებელი უნდა გახდეს, სრულად აისახოს ჩვენი წარსული მემკვიდრეობა, დღევანდელობა და მომავალში ქართული კულტურის წარსულთან კავშირის უწყვეტობა. კულტურის პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა საკმაოდ რთული და შრომატევადი სამუშაოა, რომელზეც ორგანიზაციაში კონკრეტულ სამუშაო ჯგუფებს დაწყებული აქვთ მუშაობა. უახლოეს მომავალში სამინისტროსთან კომუნიკაციით შევეცდებით სამინისტროს, ჩვენი ხედვები მივაწოდოთ. ვიმედოვნებთ, კულტურის სახელმწიფო პოლიტიკის საბოლოო დოკუმენტში სრულად იქნება ასახული ის საჭიროებები და სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს სრულფასოვანი დოკუმენტის მომზადებას. მნიშვნელოვანია სახელმწიფომ დაიცვას და შემოუნახოს მომავალ თაობებს ქართული ისტორიული მემკვიდრეობა, განსაკუთრებული პრიორიტეტად გამოაცხადოს საყდრისის ისტორიული ძეგლის დაცვა, რომელიც ეკუთვნის ქართველ ერს და არა კერძო კომპანიას.

# გიგლა ბარამიძე: დაფინანსების წართმევა ვერ გაგვაჩერებს“

**კოალიცია „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის“ წარმომადგენლის გიგლა ბარამიძის განცხადებით, სახელმწიფო სტრუქტურები მათი პოლიტიკური ძალის დევნას განაგრძობენ.**

მისივე თქმით, ნაცვლად იმისა, რომ „ქართულ ოცნებას“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მისი რეალური დანიშნულება დაებრუნებინა, რაც პრევენციული ხასიათის ღონისძიებების გატარებით განისაზღვრება, ის ბოლო დრომდე უნარჩუნებდა აუდიტის სამსახურს სადამსჯელო ფუნქციას და იმ საკადრო შემადგენლობას, რომელმაც „ნაციონალური მოძრაობის“ დროს არამართლზომიერი ქმედებებით გამოიჩინა თავი.

„საზოგადოებას შევახსენებთ, რომ სწორედ აღნიშნული სამსახურის მეშვეობით, ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, სრულიად დაუსაბუთებლად დაგვაჯარიმეს 65 000 ლარის ოდენობით, ხოლო მოგვიანებით 22 000 ლარით. იყო სხვა მრავალი სუბიექტური გადაწყვეტილებებიც.

ამჯერად ხელისუფლება, თავის დროზე „ნაცმოძრაობის“ დიდი დასაყრდენისა და მოამაგის თორდია — მოგელაძის აუდიტის სახელმწიფო სამსახურის მეშვეობით, კვლავაც სრულიად დაუსაბუთებლად, უსამართლოდ აპირებს ჩვენი პოლიტიკური ძალის დაჯარიმებას, ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული სავსებით კანონიერი ლეგიტიმური შემოწირულობების გამო (შემომწირველები კი არიან ბოლო არჩევნებზე თბილისის საკრებულოს კანდიდატები: სიის 6 ნომერი მანუჩარ ომანაძე, თბილისის საბურთალოს შტაბისა და პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბატონი ოთარ თავართქილაძე და მე)“ — განაცხადა გიგლა ბარამიძემ.

მისივე თქმით, გაორმაგებული დასაჯარიმებელი თანხა 142 000 ლარს შეადგენს.

„იმ ფონზე, როდესაც ბოლო არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ პრაქტიკულად 6 მილიონამდე ლარი მიიღო, ასევე სოლიდური თანხა მიიღო „ნაციონალურმა მოძრაობამ“, ხოლო ჩვენ 300 000 ლარი მივიღეთ, რატომღაც ხელისუფლებამ და აუდიტის სამსახურმა გადაწყვიტა სწორედ ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციის შემოწირულობები გამხდარიყო განსაკუთრებული დავის საგანი. მათ მიკერძოებით სურთ, რომ რადაც არ უნდა დაუჯდეთ, წაგვართვან დიდი ნაწილი იმ ფინანსებისა, რომელიც ჩვენ, ხალხის მხარდაჭერის საფუძველზე სამართლიანად მოვიპოვეთ“ — აცხადებს ბარამიძე.

მისივე შეფასებით, კოალიციაზე, საპარლამენტო არჩევნებამდე ტოტალური ზეწოლა მიმდინარეობს.

„ეს ხდება იმიტომ, როგორმე მოხდეს ჩვენი, როგორც რეალური ოპოზიციური პოლიტიკური ძალის მაქსიმალურად შევიწროება და ფინანსურად გაკოტრებაც კი. ნათელია, რომ „ქართულ ოცნებას“ ნინო ბურჯანაძისა და მისი გუნდის ეშინია.

დაფინანსების წართმევა და დაუსაბუთებელი დაჯარიმება ნამდვილად არ არის ის მეთოდი, რომელიც გაგვაჩერებს. სამწუხაროდ, ჩვენ ამ რეჟიმში მუშაობას შეჩვეული ვართ. ჩვენ, ჩვენი კანონიერი უფლებების დასაცავად ბრძოლას გავაგრძელებთ, რაც ბევრად უარეს მდგომარეობაშიც გაგვიკეთებია სააკაშვილის რეჟიმის დროს.

საგულისხმოა ისიც, რომ ცესკოში, ჩვენს დაფინანსებასთან დაკავშირებით ყველა კენჭისყრაზე, „ქართულმა ოცნებამ“ ჩვენს საწინააღმდეგოდ მისცა ხმა, რის გამოც, იძულებული გავხდით ჩვენი კანონიერი ინტერესების დაცვა სასამართლოში წაგვემართა. მოგვეხსენებათ რომ, ის სასამართლო დავა მოვიგეთ.

ჩვენთვის უცნობია აქვს თუ არა ინფორმაცია პრემიერ ღარიბაშვილს ჩვენი დევნის შესახებ, თუმცა არ გაგვიკვირდება, რომ ეს მიზანმიმართული პოლიტიკა იყოს“ — აცხადებს კოალიციის წარმომადგენელი.



გიგლა ბარამიძის თქმითვე, უდაოდ მისასალმებელია ის, რომ გუშინ, ქვეყნის მთავარმა საკანონმდებლო ორგანომ, საქართველოს პარლამენტმა, რიგგარეშე სესიაზე აუდიტის სამსახურის მუშაობა უარყოფითად შეაფასა და უფრო მეტიც, გაჩნდა ვარაუდი შესაძლო კრიმინალის არსებობისა და აქედან გამომდინარე მისი ხელმძღვანელის იმპიჩმენტის შესახებ.

„ამით,კიდევ ერთხელ მყარად დადასტურდა ჩვენი სამართლიანი, მკაცრი კრიტიკა და ეჭვი აღნიშნული სამსახურისა და მისი პირველი პირის მიმართ.

ჩვენი პოლიტიკური ძალა მიმართავს დიპლომატიურ კორპუსს, საერთაშორისო ინსტიტუტებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, მონიტორინგი დაუწესონ ხელისუფლების სრულიად უკანონო ქმედებებს ჩვენთვის დაფინანსების, შეზღუდვა-შემცირებასთან დაკავშირებით“ — აცხადებს ბარამიძე.

ნიუსპრესი

# თიბისი ბანკი
# TBC BANK

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარიღი: 30-Jun-14

ცხრილი N1

## საბალანსო უწყისი

ლარებში

| N | | საანგარიშო პერიოდი | | | წინა წლის შესაბამისი პერიოდი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | აქტივები | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ |
| 1 | ნაღდი ფული | 88,000,664 | 87,968,571 | 175,969,235 | 66,779,449 | 47,618,032 | 114,397,481 |
| 2 | ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 71,945,076 | 303,315,239 | 375,260,315 | 18,262,963 | 286,075,685 | 304,338,648 |
| 3 | ფულადი სახსრები სხვა ბანკებში | 8,697,482 | 291,717,087 | 300,414,569 | 589,474 | 205,988,508 | 206,577,982 |
| 4 | ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5 | საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 516,558,645 | 0 | 516,558,645 | 477,400,449 | 0 | 477,400,449 |
| 6.1 | მთლიანი სესხები | 971,439,105 | 1,780,541,938 | 2,751,981,042 | 619,760,250 | 1,687,674,908 | 2,307,435,158 |
| 6.2 | მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი | -100,866,337 | -110,294,240 | -211,160,577 | -60,672,644 | -132,868,568 | -193,541,213 |
| 6 | წმინდა სესხები | 870,572,767 | 1,670,247,698 | 2,540,820,465 | 559,087,606 | 1,554,806,340 | 2,113,893,947 |
| 7 | დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები | 18,866,886 | 21,023,199 | 39,890,084 | 13,063,113 | 21,934,557 | 34,997,670 |
| 8 | დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება | 75,152,185 | X | 75,152,185 | 71,849,039 | X | 71,849,039 |
| 9 | ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში | 72,904,976 | 0 | 72,904,976 | 70,674,184 | 0 | 70,674,184 |
| 10 | ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 200,408,213 | X | 200,408,213 | 199,130,222 | X | 199,130,222 |
| 11 | სხვა აქტივები | 51,644,277 | 28,615,956 | 80,260,233 | 44,297,390 | 17,048,045 | 61,345,434 |
| 12 | **მთლიანი აქტივები** | 1,974,751,171 | 2,402,887,749 | 4,377,638,920 | 1,521,133,891 | 2,133,471,167 | 3,654,605,058 |
| | **ვალდებულებები** | | | | | | |
| 13 | ბანკების დეპოზიტები | 87,893,059 | 20,495,120 | 108,388,179 | 37,498,623 | 5,651,018 | 43,149,641 |
| 14 | მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები) | 389,534,405 | 518,596,492 | 908,130,896 | 326,097,663 | 328,733,418 | 654,831,081 |
| 15 | მოთხოვნამდე დეპოზიტები | 219,162,776 | 551,561,489 | 770,724,265 | 181,159,336 | 414,859,048 | 596,018,384 |
| 16 | ვადიანი დეპოზიტები | 139,949,393 | 1,003,066,078 | 1,143,015,471 | 135,173,488 | 1,078,422,496 | 1,213,595,985 |
| 17 | საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები | | | 0 | | | 0 |
| 18 | ნასესხები სახსრები | 138,233,535 | 215,473,385 | 353,706,920 | 83,983,535 | 235,208,680 | 319,192,215 |
| 19 | დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები | 5,045,020 | 27,358,695 | 32,403,715 | 5,614,069 | 37,784,159 | 43,398,227 |
| 20 | სხვა ვალდებულებები | 73,725,156 | 32,163,975 | 105,889,130 | 38,934,394 | 36,632,757 | 75,567,151 |
| 21 | სუბორდინირებული ვალდებულებები | 0 | 170,718,150 | 170,718,150 | 0 | 126,293,850 | 126,293,850 |
| 22 | **მთლიანი ვალდებულებები** | 1,053,543,343 | 2,539,433,383 | 3,592,976,726 | 808,461,109 | 2,263,585,426 | 3,072,046,535 |
| | **სააქციო კაპიტალი** | | | | | | |
| 23 | ჩვეულებრივი აქციები | 19,699,323 | X | 19,699,323 | 16,499,500 | X | 16,499,500 |
| 24 | პრივილეგირებული აქციები | 0 | X | 0 | 0 | X | 0 |
| 25 | მინუს: გამოსყიდული აქციები | -800 | X | -800 | 0 | X | 0 |
| 26 | საემისიო კაპიტალი | 411,626,019 | X | 411,626,019 | 242,651,223 | X | 242,651,223 |
| 27 | საერთო რეზერვები | 0 | X | 0 | 0 | X | 0 |
| 28 | გაუნაწილებელი მოგება | 313,025,556 | X | 313,025,556 | 283,854,758 | X | 283,854,758 |
| 29 | აქტივების გადაფასების რეზერვები | 40,312,096 | X | 40,312,096 | 39,553,042 | X | 39,553,042 |
| 30 | **სულ სააქციო კაპიტალი** | 784,662,194 | X | 784,662,194 | 582,558,524 | X | 582,558,524 |
| 31 | **მთლიანი ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი** | 1,838,205,537 | 2,539,433,383 | 4,377,638,920 | 1,391,019,632 | 2,263,585,426 | 3,654,605,058 |

თარიღი: 30-Jun-14

ცხრილი N2

## მოგება - ზარალის უწყისი

ლარებში

| N | | საანგარიშო პერიოდი | | | წინა წლის შესაბამისი პერიოდი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ |
| | **საპროცენტო შემოსავლები** | | | | | | |
| 1 | საპროცენტო შემოსავლები ბანკებიდან "ნოსტრო" ანგარიშებისა და დეპოზიტების მიხედვით | 878,146 | 1,939,254 | 2,817,399 | 1,199,784 | 387,624 | 1,587,407 |
| 2 | საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან | 61,540,410 | 98,838,336 | 160,378,746 | 54,512,023 | 103,732,252 | 158,244,275 |
| 2.1 | ბანკთაშორისი სესხებიდან | 3,967,589 | 540,300 | 4,507,889 | 1,180,357 | 199,300 | 1,379,656 |
| 2.2 | ვაჭრობისა და მომსახურების სექტორზე გაცემული სესხებიდან | 8,443,745 | 26,540,795 | 34,984,540 | 5,516,767 | 27,026,417 | 32,543,184 |
| 2.3 | ენერგეტიკის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 956,207 | 4,243,999 | 5,200,206 | 1,816,394 | 3,955,982 | 5,772,377 |
| 2.4 | სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 1,077,745 | 2,455,667 | 3,533,412 | 438,109 | 1,342,573 | 1,780,682 |
| 2.5 | მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 656,512 | 6,797,179 | 7,453,690 | 1,063,286 | 5,630,474 | 6,693,759 |
| 2.6 | სამთომოპოვებელ და გადამამუშავებელ სექტორზე გაცემული სესხებიდან | 4,242,687 | 9,290,315 | 13,533,002 | 6,287,461 | 12,737,297 | 19,024,758 |
| 2.7 | ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 778,584 | 8,746,691 | 9,525,276 | 706,692 | 9,663,130 | 10,369,822 |
| 2.8 | ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან | 41,264,035 | 35,776,883 | 77,040,919 | 37,310,515 | 37,484,874 | 74,795,389 |
| 2.9 | დანარჩენ სექტორზე გაცემული სესხებიდან | 153,306 | 4,446,507 | 4,599,813 | 192,443 | 5,692,205 | 5,884,648 |
| 3 | შემოსავლები ჯარიმებიდან/საურავებიდან ლიზინგებისათვის მიცემული სესხების მიხედვით | 7,970,474 | 3,600,272 | 11,570,746 | 7,232,662 | 2,479,650 | 9,712,312 |
| 4 | საპროცენტო და დისკონტური შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან | 15,493,763 | 0 | 15,493,763 | 16,992,568 | 0 | 16,992,568 |
| 5 | სხვა საპროცენტო შემოსავლები | | | 0 | | | 0 |
| 6 | **მთლიანი საპროცენტო შემოსავლები** | 85,882,792 | 104,377,862 | 190,260,654 | 79,937,036 | 106,599,526 | 186,536,562 |
| | **საპროცენტო ხარჯები** | | | | | | |
| 6 | მოთხოვნამდე დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 7,150,947 | 7,746,779 | 14,897,726 | 7,503,169 | 10,584,933 | 18,088,102 |
| 7 | ვადიან დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 5,573,811 | 31,610,127 | 37,183,937 | 7,090,840 | 46,159,383 | 53,250,224 |
| 8 | ბანკების დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 1,394,855 | 207,194 | 1,602,049 | 1,369,233 | 265,280 | 1,634,513 |
| 9 | საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტები | | | 0 | 56,886 | 0 | 56,886 |
| 10 | ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები | 4,519,370 | 16,039,224 | 20,558,594 | 2,948,842 | 13,963,445 | 16,912,287 |
| 11 | სხვა საპროცენტო ხარჯები | 929,474 | 0 | 929,474 | 1,603,217 | 0 | 1,603,217 |
| 12 | **მთლიანი საპროცენტო ხარჯები** | 19,568,457 | 55,603,324 | 75,171,781 | 20,572,187 | 70,973,042 | 91,545,229 |
| 13 | **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | 66,314,335 | 48,774,538 | 115,088,873 | 59,364,849 | 35,626,484 | 94,991,334 |
| | | | | | | | |
| | **არასაპროცენტო შემოსავლები** | | | | | | |
| 14 | წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები მომსახურების მიხედვით | 17,622,453 | 6,319,199 | 23,941,652 | 13,838,007 | 5,438,444 | 19,276,452 |
| 14.1 | საკომისიო და სხვა შემოსავლები გაწეული მომსახურების მიხედვით | 25,379,634 | 13,704,346 | 39,083,981 | 19,515,710 | 12,716,389 | 32,232,098 |
| 14.2 | საკომისიო და სხვა ხარჯები მიღებული მომსახურების მიხედვით | 7,757,181 | 7,385,147 | 15,142,329 | 5,677,702 | 7,277,945 | 12,955,647 |
| 15 | მიღებული დივიდენდები | 553,604 | 0 | 553,604 | 249,419 | 0 | 249,419 |
| 16 | მოგება (ზარალი) დილინგური ფასიანი ქაღალდებიდან | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 17 | მოგება (ზარალი) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან | 80,830 | 0 | 80,830 | -4,752 | 0 | -4,752 |
| 18 | მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან | 16,287,550 | | 16,287,550 | 13,398,070 | | 13,398,070 |
| 19 | მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | 46,639 | | 46,639 | 1,968,648 | | 1,968,648 |
| 20 | მოგება (ზარალი) ქონების გაყიდვიდან | 3,036,763 | | 3,036,763 | -294,558 | | -294,558 |
| 21 | სხვა საბანკო ოპერაციებიდან მიღებული არასაპროცენტო შემოსავლები | 1,599,199 | 5,961,364 | 7,560,563 | 1,270,104 | 4,969,641 | 6,239,745 |
| 22 | სხვა არასაპროცენტო შემოსავლები | 4,696,253 | 697,544 | 5,393,796 | 4,180,333 | 732,884 | 4,913,217 |
| 23 | **მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები** | 43,923,290 | 12,978,106 | 56,901,397 | 34,605,271 | 11,140,969 | 45,746,240 |
| | **არასაპროცენტო ხარჯები** | | | | | | |
| 24 | სხვა საბანკო ოპერაციების მიხედვით გაწეული არასაპროცენტო ხარჯები | 2,970,446 | 3,571,415 | 6,541,861 | 2,907,466 | 1,250,442 | 4,157,908 |
| 25 | ბანკის განვითარების, საკონსულტაციო და მარკეტინგის ხარჯები | 8,134,386 | 1,759,389 | 9,893,775 | 2,594,360 | 983,773 | 3,578,133 |
| 26 | ბანკის პერსონალის ხარჯები | 41,950,828 | | 41,950,828 | 33,386,308 | | 33,386,308 |
| 27 | ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯები | 846,355 | | 846,355 | 964,149 | | 964,149 |
| 28 | ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები | 7,039,163 | | 7,039,163 | 7,125,149 | | 7,125,149 |
| 29 | სხვა არასაპროცენტო ხარჯები | 10,220,225 | 2,153,176 | 12,373,400 | 9,473,143 | 629,575 | 10,102,718 |
| 30 | **მთლიანი არასაპროცენტო ხარჯები** | 71,161,403 | 7,483,980 | 78,645,382 | 56,450,576 | 2,863,790 | 59,314,365 |
| 31 | **წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი** | -27,238,112 | 5,494,127 | -21,743,986 | -21,845,305 | 8,277,180 | -13,568,125 |
| | | | | | | | |
| 32 | **წმინდა მოგება დარეზერვებამდე** | 39,076,223 | 54,268,665 | 93,344,888 | 37,519,544 | 43,903,664 | 81,423,208 |
| | | | | | | | |
| 33 | ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 18,924,738 | X | 18,924,738 | 27,380,957 | X | 27,380,957 |
| 34 | ზარალი ინვესტიციების და ფასიანი ქაღალდების გაუფასურების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 0 | X | 0 | 0 | X | 0 |
| 35 | ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 16,389,291 | X | 16,389,291 | 21,818,643 | X | 21,818,643 |
| 36 | **მთლიანი ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით** | 35,314,029 | 0 | 35,314,029 | 49,199,600 | 0 | 49,199,600 |
| | | | | | | | |
| 37 | **მოგება გადასახადის გადახდამდე და გაუთვალისწინებელ შემოსავალ-ხარჯებამდე** | 3,762,194 | 54,268,665 | 58,030,859 | -11,680,056 | 43,903,664 | 32,223,608 |
| 38 | მოგების გადასახადი | 9,098,058 | | 9,098,058 | 1,425,474 | | 1,425,474 |
| 39 | **მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ** | -5,335,864 | 54,268,665 | 48,932,801 | -13,105,530 | 43,903,664 | 30,798,134 |
| 40 | გაუთვალისწინებელი შემოსავლები (ხარჯები) | 0 | | 0 | 0 | | 0 |
| 41 | **წმინდა მოგება** | -5,335,864 | 54,268,665 | 48,932,801 | -13,105,530 | 43,903,664 | 30,798,134 |

თარიღი: 30-Jun-14

ცხრილი N3

## ბალანსგარეშე ანგარიშების უწყისი

ლარებში

| N | | საანგარიშო პერიოდი | | | წინა წლის შესაბამისი პერიოდი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ |
| 1 | **პირობითი ვალდებულებები** | 112,876,178,253 | 256,574,071 | 113,132,752,324 | 104,516,774,678 | 209,554,183 | 104,726,328,861 |
| 1.1 | აქცეპტები და ინდოსამენტები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 1.2 | გაცემული გარანტიები | 85,902,344 | 183,246,580 | 269,148,924 | 66,288,764 | 136,238,325 | 202,527,089 |
| 1.3 | მიღებული გარანტიები | 0 | 73,240,740 | 73,240,740 | 0 | 73,215,717 | 73,215,717 |
| 1.4 | გირავნობის უზრუნველყოფის სახით გაცემული აქტივები | | | 0 | | | 0 |
| 1.5 | გირავნობის უზრუნველყოფის სახით მიღებული აქტივები | 112,790,275,909 | | 112,790,275,909 | 104,450,485,913 | | 104,450,485,913 |
| 1.6 | სხვა პირობითი ვალდებულებები | 0 | 86,752 | 86,752 | 0 | 100,141 | 100,141 |
| 2 | **ფინანსური ვალდებულებები** | 116,996,884 | 331,819,073 | 448,815,957 | 123,643,896 | 333,443,808 | 457,087,704 |
| 2.1 | აღებული ფინანსური ვალდებულებები | 115,472,302 | 204,343,290 | 319,815,591 | 115,157,144 | 201,196,298 | 316,353,442 |
| 2.2 | მესამე მხარის მიერ მიღებული ფინანსური ვალდებულებები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 2.3 | მისაღებად მოსალოდნელი ფასიანი ქაღალდები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 2.4 | გასაყიდად განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 2.5 | ნაღდ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციები | 1,524,582 | 63,040,573 | 64,565,155 | 8,486,752 | 61,871,838 | 70,358,591 |
| 2.6 | ფორვარდული სავალუტო ოპერაციები | | 64,390,944 | 64,390,944 | 0 | 70,169,286 | 70,169,286 |
| 2.7 | დანარჩენი ვალდებულებები | 0 | 44,266 | 44,266 | 0 | 206,386 | 206,386 |
| 3 | **სხვა ვალდებულებები** | 85,902,344 | 349,599,425 | 435,501,769 | 66,288,764 | 292,068,677 | 358,357,441 |
| 3.1 | ტრასტული ვალდებულება ბანკის მიმართ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 3.2 | კლიენტის ვალდებულება | 85,902,344 | 183,246,580 | 269,148,924 | 66,288,764 | 136,238,325 | 202,527,089 |
| 3.3 | მესამე მხარის კლიენტის ვალდებულება ბანკის მიმართ | 0 | 166,352,845 | 166,352,845 | 0 | 155,830,352 | 155,830,352 |
| 4 | **ვალდებულებები ბანკში შესანახად გადაცემულ ქონებაზე** | 20 | 0 | 20 | 0 | 0 | 0 |
| 4.1 | ძვირფასი ლითონები | 20 | 0 | 20 | 0 | 0 | 0 |
| 4.2 | ფასიანი ქაღალდები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 4.3 | სხვა ქონება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5 | **საპროცენტო განაკვეთის კონტრაქტები** | 0 | 77,840,400 | 77,840,400 | 0 | 72,639,600 | 72,639,600 |
| 5.1 | საპროცენტო განაკვეთის სვოპების ძირითადი თანხა | 0 | 77,840,400 | 77,840,400 | 0 | 72,639,600 | 72,639,600 |
| 5.2 | ფინანსურ ინსტრუმენტებზე დადებული ფორვარდული კონტრაქტები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5.3 | ფინანსურ ინსტრუმენტებზე დადებული ფიუჩერსული კონტრაქტები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5.4 | ოფციონები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 6 | **კონტრაქტები საქონელზე და სააქციო კაპიტალის შესახებ** | 0 | 22,882,229 | 22,882,229 | 0 | 502,699 | 502,699 |
| 6.1 | სვოპების ძირითადი თანხა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 6.2 | ფორვარდული კონტრაქტები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 6.3 | ფიუჩერსული კონტრაქტები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 6.4 | ოფციონები | 0 | 22,882,229 | 22,882,229 | 0 | 502,699 | 502,699 |
| 7 | **გაუნაღდებელი დოკუმენტები** | 803,032,025 | 3,757,474 | 806,789,499 | 600,933,084 | 3,318,382 | 604,251,466 |
| 7.1 | ვადაში გაუნაღდებელი დოკუმენტები გადამხდელის მიზეზით | 803,032,025 | 3,757,474 | 806,789,499 | 600,933,084 | 3,318,382 | 604,251,466 |
| 7.2 | ვადაში გაუნაღდებელი დოკუმენტები ბანკის მიზეზით | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 7.3 | გაუნაღდებელი საწესდებო ფონდი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 8 | **ზარალში ჩამოწერილი ვალები** | 462,141,900 | 636,218,456 | 1,098,359,456 | 364,067,342 | 544,679,906 | 908,747,248 |
| 8.1 | სესხებზე მიუღებელი პროცენტები 31.12.2000-მდე | 0 | | 0 | 0 | 0 | 0 |
| 8.2 | სესხებზე მიუღებელი პროცენტები 01.01.2001-დან | 322,407,904 | 472,544,541 | 794,952,445 | 264,268,525 | 399,838,591 | 664,107,116 |
| 8.3 | ზარალში ჩამოწერილი ვალები 31.12.2000-მდე | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 8.4 | ზარალში ჩამოწერილი ვალები 01.01.2001-დან | 100,109,653 | 160,687,073 | 260,796,726 | 77,857,422 | 142,182,978 | 220,040,399 |
| 8.5 | ზარალში ჩამოწერილი სხვა აქტივები | 39,623,444 | 2,986,842 | 42,610,286 | 21,941,396 | 2,658,338 | 24,599,733 |
| 9 | **სხვა ფასეულობა და დოკუმენტები** | 2,811 | 0 | 2,811 | 3,323 | 0 | 3,323 |
| 9.1 | გაუქმებული ფულადი ნიშნები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 9.2 | მეურნეობისათვის ინვენტარი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 9.3 | მკაცრი აღრიცხვის ბლანკები | 2,811 | 0 | 2,811 | 3,323 | 0 | 3,323 |
| 9.4 | [illegible] | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 10 | **სულ** | 114,344,253,337 | 1,678,691,128 | 116,022,944,465 | 105,671,711,087 | 1,456,207,255 | 107,127,918,342 |

## ეკონომიკური მაჩვენებლები

თარიღი: 30-Jun-14

| | | საანგარიშო პერიოდი | წინა წლის შესაბამისი პერიოდი |
|---|---|---|---|
| | **კაპიტალი** | | |
| 1 | ძირითადი კაპიტალის კოეფიციენტი ≥ 8% | 14.43% | 12.21% |
| 2 | საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი ≥ 12% | 17.73% | 14.81% |
| 3 | რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები / მთლიან აქტივებთან | 106.75% | 111.37% |
| 4 | ფულადი დივიდენდები / წმინდა მოგებასთან | 47.82% | 0.00% |
| | **მოგება** | | |
| 5 | მთლიანი საპროცენტო შემოსავალი / საშუალო წლიურ აქტივებთან | 9.23% | 10.53% |
| 6 | მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან | 3.64% | 5.17% |
| 7 | საოპერაციო მოგება / საშუალო წლიურ აქტივებთან | 4.37% | 4.50% |
| 8 | წმინდა საპროცენტო მარჟა | 5.58% | 5.36% |
| 9 | უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA) | 2.37% | 1.74% |
| 10 | უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) | 15.56% | 10.88% |
| | **აქტივების ხარისხი** | | |
| 11 | უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან | 7.15% | 10.64% |
| 12 | სშდრ / მთლიან სესხებთან | 7.67% | 8.39% |
| 13 | უცხოური ვალუტით არსებული სესხები / მთლიან სესხებთან | 64.70% | 73.14% |
| 14 | უცხოური ვალუტით არსებული აქტივები / მთლიან აქტივებთან | 54.89% | 58.38% |
| 15 | მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი | | 0.79% |
| | **ლიკვიდობა** | | |
| 16 | ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან | 25.79% | 28.34% |
| 17 | უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან | 70.68% | 73.68% |
| 18 | მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან | 39.15% | 34.39% |

## ინფორმაცია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის და აქციონერთა შესახებ

თარიღი: 30-Jun-14

| | სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა |
|---|---|
| 1 | მამუკა ხაზარაძე |
| 2 | ბადრი ჯაფარიძე |
| 3 | ირინა მშიდეი |
| 4 | ერიკ რაჯენდრა |
| 5 | სტეფანო მარსაგლია |
| 6 | ნიკოლას ჰააგ |
| 7 | ნიკოლოზ ენუქიძე |

| | დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა |
|---|---|
| 1 | ვახტანგ ბუცხრიკიძე |
| 2 | პაატა ღაძაძე |
| 3 | გიორგი შაგიძე |
| 4 | ნინო მასურაშვილი |
| 5 | არჩილ მამათელაშვილი |
| 6 | მარიამ მეღვინეთუხუცესი |
| 7 | გიორგი შაგიძე |

| | საწესდებო კაპიტალის 1% და მეტი წილის მფლობელი აქციონერების ჩამონათვალი წილების მითითებით |
|---|---|
| 1 | დავით ხაზარაძე - 1.36% |
| 2 | Meijer Bob - 1.73% |
| 3 | ვახტანგ ბუცხრიკიძე - 1.13% |
| 4 | TBC HOLDINGS LTD - 16.09% |
| 5 | LIQUID CRYSTAL INTERNATIONAL N.V. - 5.50% |
| 6 | BNY (NOMINEES) LIMITED. - 70.92% |

| | ბანკის ბენეფიციარების ჩამონათვალი, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ ფლობენ აქციების 5%-ს ან მეტს წილების მითითებით |
|---|---|
| 1 | EBRD - 12.50% |
| 2 | IFC - 6.20% |
| 3 | ბადრი ჯაფარიძე - 7.45% |
| 4 | მამუკა ხაზარაძე - 14.91% |

# ბარაქ ობამა: უკრაინას იარაღს არ მივაწვდით!“

## სეპარატისტთა ერთ-ერთი ლიდერი თითს ქართველებისაკენ იშვერს

— უკრაინას იარაღს არ მივაწვდით, ეს არცაა აუცილებელი. უკრაინული არმია სეპარატისტებზე ბევრად უკეთაა შეიარაღებული. ჩვენ უკრაინას ყოველმხრივ დახმარებას გავუწევთ, რათა კონფლიქტი დონბასში რაც შეიძლება სწრაფად დასრულდეს, — განაცხადა პრეზიდენტმა ობამამ.

აშშ-ის ლიდერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთმა პრორუსული სეპარატისტული ფორმირებების მხარდაჭერა უნდა შეწყვიტოს. პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთს თავისი ექსპანსიონისტური პოლიტიკა უკვე საკმაოდ ძვირი დაუჯდა და მომავალშიც ძვირი დაუჯდება. თავის მხრივ, ამერიკელი კონგრესმენების მნიშვნელოვანი ნაწილი უკრაინისათვის იარაღის მიწოდებას მოითხოვს. კონგრესში უკვე დევს კანონპროექტი, რომელიც უკრაინისათვის აშშ-ს მოკავშირის სტატუსის მინიჭებას (ნატოში გაწევრიანების გარეშე) ითვალისწინებს, თუმცა ამ კანონპროექტმა რიგი პროცედურები უნდა გაიაროს. ეს კი დროსთანაა დაკავშირებული.

### რას მოიტანს მინსკის შეხვედრა?

აშშ-ში უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის კლიმკინის ვიზიტს წინ აშშ-ს სახელმწიფო მდივნისა და მისი რუსი კოლეგის ლავროვის ინტენსიური კონტაქტები უძღოდა. რადიო „თავისუფლების“ ცნობით ქერისა და ლავროვს შორის რამდენჯერმე სატელეფონო საუბრები შედგა, რამაც კლიმკინ-ქერის შეხვედრის შედეგები განსაზღვრა. უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა: „ცეცხლის შეწყვეტაზე თანახმანი ვართ, ოღონდ რამდენიმე პირობით. ცეცხლი მოწინააღმდეგე მხარემაც უნდა შეწყვიტოს, ამასთან ყველა დატყვევებული მძევალი უნდა გაათავისუფლონ“. იმავე დღეს პრეზიდენტი პოროშენკო გამოვიდა ინიციატივით, რომ მინსკში საკონტაქტო ჯგუფის მორიგი შეხვედრა შედგეს. ამ ჯგუფის შემადგენლობაში შედიან უკრაინის ექსპრეზიდენტი კუჩმა, რუსეთის ელჩი უკრაინაში ზურაბოვი და ეუთოს წარმომადგენლები.

— პრეზიდენტმა პოროშენკომ ბელორუსის ლიდერს ლუკაშენკოს თხოვნით მიმართა, რათა დონბასში კონფლიქტის მოგვარების საქმეში შუამავლის როლი ეკისრა, — იტყობინება სააგენტო „უნიანი“.

ლუკაშენკო უკრაინის პრეზიდენტის წინადადებას დათანხმდა. საკონტაქტო ჯგუფი უკვე 31 ივლისს მინსკში შეიკრიბება.

— დღის წესრიგში ორი საკითხია შეტანილი. პირველი მძევლების უპირობო გათავისუფლებაა, მეორე — ჰოლანდიური ბოინგის ტრაგედიის მიდამოებში საომარი მოქმედებების შეწყვეტა, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ექსპერტები მინსკის შეხვედრას სკეპტიკურად უყურებენ. პოლიტოლოგ ჩევუსოვის აზრით, არც დონეცკის, არც ლუგანსკის „რესპუბლიკების“ ლიდერები დამოუკიდებელ ფიგურებს არ წარმოადგენენ. შესაბამისად, მათთან დიალოგს, უბრალოდ, აზრი არა აქვს.

— აღნიშნული შეხვედრა უნდა გახდეს მოსამზადებელი ეტაპი პუტინ-პოროშენკოს უმაღლეს დონეზე შეხვედრისათვის. დონბასის ბედიც ამ მოლაპარაკებებზე გადაწყდება, — წერს ჩევუსოვი.

ამ მოსაზრებას უკრაინის პირველი პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკიც ეთანხმება. რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტთან საუბარში მან დონეცკისა და ლუგანსკის „რესპუბლიკების“ ლიდერებს „პუტინის შნირები“ უწოდა.

— მათთან საუბარი უაზრობაა! აუცილებელია მოლაპარაკებები უშუალოდ პუტინთან. საამისოდ მინსკი შესაფერისი ადგილია, — ამბობს კრავჩუკი.

თავის მხრივ, პოროშენკოს ადმინისტრაციის თავკაცის მოადგილე ჩალიიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ უკრაინული მხარე ანტიტერორისტული ოპერაციის შეწყვეტას არ აპირებს.

— საუბარია ცეცხლის შეწყვეტაზე იმ რაიონში, სადაც მალაიზიური ბოინგის ტრაგედია მოხდა! სეპარატისტები ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან, რადგანაც ობიექტური გამოძიების ჩატარებისა ეშინიათ, — თქვა ჩალიიმ.

პუტინ-პოროშენკოს შეხვედრა, ადრე თუ გვიან, აუცილებლად შედგება. საამისოდ როგორც ამერიკული, ისე ევროპული დიპლომატია განუხრელად იღვწის, თუმცა რუსეთის პრეზიდენტი ცდილობს, დრო გაწელოს და შექმნას ისეთი ვითარება, თითქოს საომარი მოქმედებები გაჭიანურდა. როგორც ჩანს, ვლადიმერ ვლადიმიროვიჩს იმედი აქვს, რომ დასავლეთი, რომელიც რუსეთისადმი სანქციების გამო დი-



დად ზარალდება, დადგება რა უკრაინაში გაჭიანურებული ომის ფაქტის წინაშე, სიტუაციის დარეგულირებაში რუსეთის მონაწილეობას დათანხმდება. ამის შემდეგ უკრაინის დაყოფის და „ნოვოროსიის“ შექმნის დროც დადგება ანუ უკრაინას ჩამოშორდება როგორც დონბასი, ასევე მთელი ზღვისპირეთი (ოდესა, ხერსონი, ნიკოლაევი). თუმცა ეს ახლო მომავლის საქმეა. დღეს „ნოვოროსია“ ვერ შეიქმნება. ახლა პუტინმა ცეცხლის შეწყვეტას უნდა მიაღწიოს, შემდეგ ოფიციალური კიევი დონბასელ სეპარატისტებთან მოლაპარაკებების მაგიდაზე დასვას. მოლაპარაკებები, რასაკვირველია, გაიწელება, დადებული შეთანხმებებიც არ შესრულება, სეპარატისტებიც დონბასში გარკვეულ ტერიტორიას, მათ შორის დონეცკსა და ლუგანსკს, შეინარჩუნებენ, რათა ეს შემდგომი კონტრშეტევის პლაცდარმად გამოიყენონ. კონტრშეტევა კი შემოდგომიდან დაიწყება. უკრაინას მძიმე ზამთარი მოელის, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას გამოიწვევს. კრემლშიც დარწმუნებულნი არიან, რომ თუ მთელ უკრაინაში არა, მის გარკვეულ ნაწილში მაინც საპროტესტო ტალღა აუცილებლად აზვირთდება. ე.წ. დონეცკელი და ლუგანსკელი მოლაშქრეებიც, რომელთა შეიარაღებაშიცაა ტანკები, „გრადები“, ქვემეხები, რუსული არმიის ცალკეული ნაწილების დახმარებით კონტრიერიშზე გადავლენ. დნეპროპეტროვსკის, ოდესის, ხერსონის მოსახლეობაც მათ ზარ-ზეიმით შეეგებება. უკრაინის მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილზე რუსული დროშა აღიმართება და უკრაინის დაყოფის პროცესი დასრულდება. დასავლეთიც ამას შეეგუება, რადგანაც ევროპის ცენტრში ომი არავის არ სურს, თუმცა საამისოდ მასობრივი პროტესტის ილუზია უნდა შეიქმნას და დნეპროპეტროვსკში, ზაპოროჟიეში, ოდესაში 100 000-იანი პრორუსული მიტინგები გაიმართოს. პუტინიც შეეცდება, რომ მისი და პოროშენკოს შეხვედრა სწორედ ამ დროს მოხდეს, რათა „სიტუაციის დარეგულირება“ კიევის კაპიტულაციით დამთავრდეს. პოროშენკო დანარჩენი უკრაინის პრეზიდენტი იქნება და ამ ტერიტორიაზე დასავლური პროექტების განხორციელებას დაიწყებენ. სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონი კი რუსეთად დარჩება. მოსკოვიც შავ ზღვაზე გაბატონებულ მდგომარეობას შეინარჩუნებს.

ასეთია კრემლის ჩანაფიქრი, თუმცა ეს შემოდგომა-ზამთრისათვისაა დაგეგმილი. დღეს კი პუტინის ამოცანაა, დონბასში რაც შეიძლება მეტი ტერიტორიის, განსაკუთრებით დონეცკისა და ლუგანსკის, შენარჩუნება. პუტინმაც სეპარატისტებს მითითება მისცა: არც ერთი ნაბიჯი უკან!

სეპარატისტებმა წინააღმდეგობის გაწევა მართლაც ცადეს, თუმცა უკრაინული არმიის შეტევებს ვერ გაუძლეს. პუტინისეული გეგმა, რაც ლისიჩანსკთან უკრაინელების რამდენიმე თვით შეფერხებას ითვალისწინებდა, ჩაიშალა. „ახალ სტალინგრადად“ ვერც დებალცევო გადაიქცა. ტერორისტები უდიდეს დანაკარგს განიცდიან და გარბიან, თუმცა საომარ მოქმედებებს მშვიდობიანი მოსახლეობაც ეწირება და ამაში დამნაშავე ერთმნიშვნელოვნად ვლადიმერ პუტინია.

### სეპარატისტების ფანტაზია უსაზღვროა

დონბასში ბრძოლები გრძელდება. ყველაზე მძიმე ვითარება რუსეთ-უკრაინის საზღვარზე შეიქმნა. უკრაინული არმია ცდილობს რუსეთთან საზღვარი გადაკეტოს, სეპარატისტები კი ამას გააფთრებით ეწინააღმდეგებიან, რადგანაც რუსეთიდან ცოცხალი ძალა და იარაღი შემოსდით. ტერორისტებისათვის უდიდესი დანაკარგი იყო სტრატეგიული მნიშვნელობის სიმაღლის საურ მოგილას დაკარგვა. მათ მისი დაბრუნება ცადეს. ტერორისტებს მხარი რუსულმა ჯარმაც დაუჭირა. რუსეთის ტერიტორიიდან საურ მოგილას მიმართულებით ქვემეხებიდან ინტენსიური ცეცხლი გახსნეს. ამრიგად, უკრაინელები ორმხრივი წნეხის ქვეშ მოექცნენ. მიუხედავად ამისა, მტერი მაინც ვერაფერს გახდა.

— შეტევა მოგერიებულ იქნა. ლიკვიდირებულია 100-ზე მეტი ტერორისტი, — იტყობინება ტელეკომპანია მე-5 არხი.

მოკლულთა შორის უმრავლესობას (80 კაცი) ჩეჩნები და კაზაკებია. მათ გარდა, ოსი და აფხაზი ბოევიკებიც გვხვდებიან. დონბასის მკვიდრი მცხოვრები მხოლოდ ექვსია.

— დონბასელები არ იბრძვიან, მათ ნაცვლად ფაშისტებს ჩვენ ვებრძვით, — განაცხადა ერთ-ერთმა კაზაკმა ტყვემ.

საოცარი ვითარება შეიქმნა პაპასნოესთან. როგორც აღინიშნა, რამდენიმე დღის წინ ეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტი უკრაინელთა კონტროლქვეშ გადავიდა. სეპარატისტებმა გაავრცელეს ხმები, რომ პაპასნოედან უკრაინელი ჯარისკაცები განდევნეს. ამან საყოველთაო გაოცება გამოიწვია. ქალაქზე ხომ კვლავ უკრაინული დროშა ფრიალებდა.

— პაპასნოეში ჩვენი დივერსიული ჯგუფი მოქმედებს. უკრები განვდევნეთ. მიმდინარეობს გამწმენდი აქციები. ცოტა ხანში ქალაქზე რუსული დროშა აღიმართება, — განაცხადა „დონეცკის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა“ გირკინმა.

მალე უკრაინულ ტელეარხებზე ხსენებული დივერსიული ჯგუფის განადგურების ინფორმაცია გავრცელდა. დაატყვევეს ამ ბანდის მეთაური ვინმე კოვალენკო. განადგურებულ იქნა დივერსანტების მთელი შტაბი. დატყვევებული კოვალენკო უკრაინულ ტელეეთერში აჩვენეს. გირკინიც იძულებული იყო, ეღიარებინა, რომ პაოპასნოესთან მისმა მხედრობამ მარცხი განიცადა, თუმცა მან ეს მართლაც თავისებურად ახსნა:



უკრაინული არმია ავდეევკაში შედის

— ჩვენ ნატოს ქვედანაყოფმა და ქართველმა ბოევიკებმა შემოგვიტიეს! პაპასნოესთან ბრძოლის ბედიც ამან გადაწყვიტა, — განაცხადა გირკინმა.

თავის მხრივ, „ლუგანსკის რესპუბლიკის“ პრესცენტრმა გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, საქართველოდან უკრაინაში ბოევიკებს აგზავნიან. ამ საქმის სათავეში თურმე, არც მეტი, არც ნაკლები, ნაციონალური მოძრაობა და პირადად მიხეილ სააკაშვილი დგანან.

— სააკაშვილი უკრაინაშია! ის უშუალოდ ბრძოლის ველზე იმყოფება და ქართველებს ჩვენს ასაწიოკებლად მოუძღვის! — ამტკიცებენ სეპარატისტები.

ტერორისტების ფანტაზია უსაზღვროა. ახლა მათ ლუგანშჩინაზე ნატოს ქვედანაყოფი და ქართველი მეომრები „აღმოაჩინეს“, მომავალში თავიანთ მარცხს, ალბათ, უცხოპლანეტელებს გადააბრალებენ.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სასახსრეზე — ძელია მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საგარანტიოა და მყარი.
☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთათო

## მილოცვა შვილთაშვილი

გაზაფხულის ქუჩაზე ზაფხულის მცხუნვარე მზემ ქალბატონ ნათელასა და რევაზ მიშველაძის ეზო-კარს 29 ივლისს სულ სხვარიგად გადმოხედა. ცა-ფირუზიდან დაფრქვეული ოქროსფერი სხივების გუნდი სარკმელში შეიჭრა და ლოცვით მოჰკოცნა ის ფუძე-ჭერი, სადაც ახალბედა ქართველის, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, რევაზ მიშველაძის სახელის მოზიარე, პატარა რევაზის აკვანი დაირწევა.

თბილისს მომავალი საპატიო მოქალაქე შეემატა, მისი საქმითა და ქართველკაცობით მამულისათვის თავდადებული ბაბუს სულს რომ ნათელს მოჰფენს, გაბზარულ გულებს მალამოდ დაედება და მტკიცედ გაითავისებს რაფიელ ერისთავის ბრძნულ გამონათქვამს: „კაცი ის არის, ვინც მისდევს დიდის მოძღვრისა მცნებასა, იბრძვის და იბრძვის ერისთვის, ქვეყანას მისცემს შვებასა“.

უსაზღვროდ გახარებულ დედიკოსა და მამიკოს, ქალბატონ ნათელას, ბატონ რევაზს და საერთოდ ყველას, ვინც ამ დღემ გაახარა, ვუერთებ ჩემს სიხარულს: „თქვენს სიხარულს შეუერთეთ ჩემი სიხარული და მხურვალე კოცნა, მომილოცავს, დამილოცავს ცის ქვეშ ციცქნა რევაზ მიშველაძის მოსვლა“.

პოეტი ნანა დარჩიაშვილი

## უფასო განცხადებები

● იყიდება 65 კვ.მ ფართის ოროთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას ძეგლის გვერდით, მეტროსთან ახლოს, პრესტიჟულ ადგილას, ფასი შეთანხმებით. ტელ: 218-94-99; 599-37-58-83.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 35 კმ-ში 2000კვ.მ საკარმიდამო მიწის ხეხილიანი, დამუშავებული ნაკვეთი, სარწყავი და სასმელი წყლით. 1 კვ.მ-ის ფასი 3 დოლარი. ტელ: 568 65-74-86; 790-903296.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავებაშეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ოსტეოქონდროზის, მხედველობისა და სმენის დაქვეითების, სამწვერა ნერვის ანთების, რადიკულიტის, სახსრების, კუნთების დაავადებების, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის და სხვა დაავადებების განკურნება სწრაფად, წამლების, აპარატურის და ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. თუ მკურნალობისთვის არ ხართ მზად, არ დაგვიკავშირდეთ. ტელ: 599-97-85-46. ბ-ნი ლევანი.

# თბილისის მერიის თასი 2-4 აგვისტოს გაიმართება

დამდეგ აგვისტოში საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის 2015 წლის ჩემპიონატზე მოსახვედრად იბრძოლებს. იგორ კოკოშკოვის გუნდი საკვალიფიკაციო მატჩებისთვის ემზადება. ნაკრებმა უკვე მოილია 7 ამხანაგური მატჩი და მომდევნოს ხვალ ლიტვასთან ჩაატარებს. საქართველოს ნაკრები მოსამზადებელ ეტაპს თბილისის საერთაშორისო ტურნირით — მერიის თასით დახურავს.

საქართველოში სათამაშოდ ბელორუსის, მოლდოვისა და დიდი ბრიტანეთის ნაკრებები ჩამოვლენ. მერიის თასი 2 აგვისტოს დაიწყება და 3 დღეს გასტანს. 2, 3 და 4 აგვისტოს თბილისის სპორტის სასახლეში 2-2 მატჩი გაიმართება. საქართველოს ნაკრები ჯერ მოლდოვას შეხვდება, შემდეგ დიდ ბრიტანეთს, დასკვნით მატჩში კი ბელორუსს დაუპირისპირდება.

ბელორუსისა და დიდი ბრიტანეთის ნაკრებები, საქართველოს მსგავსად, ევრობასკეტის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადებიან. ბრიტანელები ჯგუფში ისლანდიასა და ბოსნიასთან ერთად არიან, ხოლო ბელორუსი, საქართველოს მსგავსად, ოთხგუნდიან ჯგუფშია მაკედონიასთან, ბელგიასთან და დანიასთან ერთად.

# ეროვნულმა ნაკრებმა ლიტვაში მეორე სპარინგ-მატჩიც წააგო

**ლიტვა _ საქართველო 81:54**

(18:14; 15:12; 29:15; 19:13)

**საქართველო:** მეტრეველი, ფხაკაძე (3ქ), სანაძე, ფაჩულია (18ქ,14მ,4ჩ), ცინცაძე (6ქ), ფაცაცია (3ქ), სანიკიძე (5ქ), ბურჯანაძე (7ქ,6მ), შარაბიძე, შენგელია (7ქ), ლეჟავა (5ქ), წიკწივაძე

საქართველოს ეროვნულმა გუნდმა ლიტვაში, ადგილობრივ ნაკრებთან მეორე ამხანაგური მატჩი გამართა და ამით უცხოური შეკრება დაასრულა. იგორ კოკოშკოვის გაწვრთნილი ქართველები ამჯერად 27 ქულის სხვაობით დამარცხდნენ. მსოფლიოს ჩემპიონატის სამზადისში მყოფმა ლიტველებმა საკუთარ არენაზე ყველაფერში აჯობეს ქართველებს და 81:54 დაამარცხეს.

ქართველებმა შედარებით კარგად ითამაშეს, ვიდრე პანევეჟისში გამართულ მატჩში, რომელიც კოკოშკოვის გუნდმა 51:82 წააგო. მართალია, დღევანდელი წაგება უწინდელზე მხოლოდ 4 ქულით იყო ნაკლები, თუმცა ქართველები მრისხანე მეტოქეს პირველი ტაიმი ტოლ-სწორად ეთამაშნენ და მესამე მეოთხედში ჩავარდნის გამო დიდი სხვაობით დათმეს.

მოედანს დაუბრუნდა ვიქტორ სანიკიძე, რომელმაც წინა 2 მატჩი ფეხის ტრავმის გამო გამოტოვა. კოკოშკოვმა სანიკიძე 31 წუთზე მეტ ხანს ათამაშა და საერთოდ, ქართველების მწვრთნელი ძირითადად სასტარტო კალათბურთელებს დაეყრდნო. მოედანზე არ გამოჩენილა განაცხადში მყოფი გიორგი შარაბიძე, ხოლო ბექა წიკწივაძემ, ნიკა მეტრეველმა, დუდა სანაძემ და ოთარ ფხაკაძემ ჯამში 12 წუთი ითამაშეს.

ეს გასაგებიც იყო: კოკოშკოვმა წინა მატჩის წაგების შემდეგ განაცხადა, რომ მომავალ მატჩს ქართველები უკეთ ჩაატარებდნენ და ამისთვის მან ყველაფერი გააკეთა. საქმე ის გახლავთ, რომ უდიდესი რესურსის მქონე ლიტველებმა კვლავ შესანიშნავად ითამაშეს და ქართველები მესამე პერიოდში (29:15) გატეხეს.

შესანიშნავად ითამაშა ზაზა ფაჩულიამ, რომელმაც 18 ქულა და 14 მოხსნა მიითვალა, თუმცა მისმა ოპონენტმა, ცნობილმა და უგამოცდილესმა დარიუს ლავრინოვიჩმა 14 წუთში 17 ქულა მიითვალა და მოედანზე აღარ გამოჩენილა. სხვათა შორის, ლავრინოვიჩმა ფაჩულიასთან უხეში თამაშისა და კინკლაობის გამო ტექნიკური ჯარიმა მიიღო. წინა მატჩში არ ყოფილა, თუმცა დღეს ითამაშა დარიუსის ძმამ, კშიშტოფმა, რომელიც 6 ქულას დასჯერდა.

**იგორ კოკოშკოვი:**

— როგორ დაგპირდით, ჩვენმა ნაკრებმა იბრძოლა და უკეთესად ითამაშა. ჩვენ მატჩის არცთუ მცირე ნაწილს ვაკონტროლებდით და მასპინძლებს ტოლს არ ვუდებდით. ლიტვა გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ნაკრები და ეს მასპინძლებმა დაამტკიცეს. ჩვენ მივიღეთ დიდი გამოცდილება. დიდი მადლობა ამ 2 მატჩისთვის. ჩვენი ნაკრები ოპტიმალური ფორმისგან ჯერაც შორსაა.

# მშვილდოსნობის ფედერაციას ხათუნა ნარიმანიძე უხელმძღვანელებს

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში მშვილდოსნობის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. ხმათა უმრავლესობით ამ თანამდებობაზე ხათუნა ნარიმანიძე აირჩიეს.

ნარიმანიძის გარდა, არჩევნებში კიდევ ორი კანდიდატი, გიორგი გორდეზიანი და დილარ ხაბულიანიც მონაწილეობდნენ, თუმცა მათ თავიანთი კანდიდატურები მოხსნეს. 27 ხმოსანი დელეგატიდან არჩევნებს 22 დაესწრო, რომელთაგან 21-მა ნარიმანიძეს სრული ნდობა გამოუცხადა — ის ორი წლით უხელმძღვანელებს მშვილდოსნობის ფედერაციას.

ასევე გაირკვა, რომ პირველი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას სულიკო თოფურია დაიკავებს, ლაშა მაჩაიძე და ბადრი ვარშანიძე კი ვიცე-პრეზიდენტები იქნებიან. დავით ლეკვეიშვილი გენერალური მდივანი იქნება. 7-კაციან პრეზიდიუმში ასევე იქნებიან ლელა აფციაური და გიორგი მაკოევი.

# გერმანიის ნაკრებმა საქველმოქმედო აუქციონი მოაწყო

2014 წლის მსოფლიო ჩემპიონებმა, გერმანიის ნაკრების წევრებმა ერთ-ერთ გერმანულ ინტერნეტ-პორტალზე საქველმოქმედო აუქციონი მოაწყვეს და თავიანთი პირადი ნივთები გაყიდეს, რომლიდან შემოსული თანხაც ბავშვთა დახმარების ფონდებს გადაერიცხათ.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, იოახიმ ლიოვმა აუქციონზე თავისი პიჯაკი გაიტანა, მეკარე მანუელ ნოიერმა — თავისი „აიფონი“. სხვადასხვა ნივთების გარდა, მსურველს ასევე შეუძლია შეიძინოს ბურთი გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის ავტოგრაფით.

საერთო ჯამში, მომხმარებელს აღნიშნულ პორტალზე დაახლოებით 50 ისეთი ნივთის შეძენა შეეძლო, რომელიც აწ დასრულებულ მუნდიალთან ასე თუ ისე ასოცირდება. აუქციონზე გატანილ ნივთებს შორის ყველაზე ძვირფასი ნაკრების ფეხბურთელთა ავტოგრაფიანი მაისური აღმოჩნდა, რომელიც 4,7 ათას ევროდ გაიყიდა. მისი მფლობელი ბრაზილიის ქალაქ კამპაბაიას მკვიდრი გახდა, სადაც „ბუნდესმანშაფტის“ სამუნდიალო ბანაკი იყო განთავსებული.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| აქტობე-სტიაუა | 2:2 |
| ყარაბახი-ზალცბურგი | 2:1 |
| აელი-ზენიტი | 1:0 |
| დნიპრო-კოპენჰაგენი | 0:0 |
| ჰიკი-აპოელი | 2:2 |
| გრასჰოპერსი-ლილი | 0:2 |
| ფეინოორდი-ბეშიქთაში | 1:2 |
| ლუდოგორეცი-პარტიზანი | 0:0 |
| სტანდარდი-პანათინაიკოსი | 0:0 |
| ოლბორგი-დინამო(ზ) | 0:1 |
| მარიბორი-მაკაბი | 0:0 |
| ლეგია-სელტიკი | 4:1 |

# ბორჯღალოსანთა ტესტები დაიგეგმა

მეორე დონის სარაგბო ქვეყნებისათვის წლევანდელი ნოემბრის ტესტები 2015 წლის მსოფლიო თასისათვის მოსამზადებლად საუკეთესო შესაძლებლობას წარმოადგენს.

ნოემბერში საკმაოდ დაძაბულ მატჩებს ვიხილავთ, ვინაიდან მზარდი გუნდები მსოფლიო რაგბის მოწინავეებს შეერკინებიან.

ფიჯი, რომელიც 2015 წლის მსოფლიო თასის პირველ შეხვედრაში მასპინძლებს ეთამაშება, 14 ნოემბერს კარდიფში უელსს შეხვდება, ხოლო ერთი კვირის შემდეგ პარიზში საფრანგეთთან მოსინჯავს ძალებს.

22 ნოემბერს, ფიჯელთა ოკეანელი მეზობელი, სამოა ინგლისს შეხვდება, მას შემდეგ, რაც ერთი კვირით ადრე იტალიასთან ითამაშებს.

ტონგა შოტლანდიასთან იბურთავებს. ევროპის ერთა თასის გამარჯვებული საქართველო სერიის ფარგლებში შინ ორ ტესტს გამართავს — 8 ნოემბერს ტონგას წინააღმდეგ; 23 ნოემბერს იაპონიასთან, 16 ნოემბერს კი დუბლინში ექვსი ერის ჩემპიონს, ირლანდიას შეერკინება.

შემოდგომის კალენდრის კიდევ ერთი და მნიშვნელოვანი მატჩი 1 ნოემბერს, ჩიკაგოში გაიმართება: აშშ ახალ ზელანდიას უმასპინძლებს.

რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) საშეჯიბრებო კომიტეტის თავმჯდომარე მარკ იგანმა განაცხადა:

— წლევანდელი ტესტ-მატჩების სერია მსოფლიო თასის გათამაშებისთვის მოსამზადებლად კარგ შესაძლებლობას წარმოადგენს. ეს ჩვენი სტრატეგიის ნაწილია. ირბის მიზანია რეგულარულად მაღალი დონის ტესტების ორგანიზებით მეორე დონის სარაგბო ქვეყნების კონკურენტუნარიანობის გაზრდა და თამაშის ხარისხის გაუმჯობესება. დარწმუნებული ვარ, ტესტ-მატჩებითა და ივნისის ტურნირების მეშვეობით ეს მალე განხორციელდება. 2014



წელს მეორე დონის ქვეყნები 13 ტესტს გამართავენ პირველი დონის გუნდების წინააღმდეგ. ძალიან მოხარულები ვართ იმით, რომ ფიჯიმ, სამოამ და იაპონიამ ივნისში შესძლეს იტალიის დამარცხება, ხოლო კანადა და აშშ საკმაოდ კარგად ეთამაშნენ შოტლანდიას. უკვე ცხადია, რომ მეორე და პირველი დონის ქვეყნებს შორის სათამაშო ხარისხში სხვაობა მცირდება და აქედან გამომდინარე, რაგბის ქომაგებს ნოემბერში საკმაოდ საინტერესო და დაძაბული ტესტები ელით. ჩვენ ასევე გზრუნავთ იმაზე, რომ ნოემბრის ტესტ-სერიის ფარგლებში მაღალი რეიტინგის მქონე მეორე დონის ნაკრებები ერთმანეთსაც ეთამაშონ. წლევანდელი სერია დიდ სარგებლობას მოუტანს საქართველოსა და რუმინეთს, ვინაიდან ისინი თბილისსა და ბუქარესტში კვლავ უმასპინძლებენ ტესტ-მატჩებს.

მეორე დონის სარაგბო ქვეყნების ტესტ-მატჩების პროგრამას ირბ აფინანსებს. საბჭო ამ ქვეყნებისათვის ტურნირებსა და სანაკრებო პროგრამებში ყოველწლიურად 10 მილიონი გირვანქის ინვესტირებას ახორციელებს.

საქართველოს ნაკრებს ნოემბერში სამი უსერიოზულესი ტესტი ელის.

8 ნოემბერს „ბორჯღალოსნები“ თბილისში ტონგას ნაკრებს დაუხვდებიან, 16-ში უკვე ირლანდიას ესტუმრებიან და დუბლინში შეერკინებიან, ხოლო 23-ში ისევ თბილისში იაპონიას ნაკრებს უმასპინძლებენ.

გუნდები მართლაც სერიოზული რომ არიან, ამაში თავად დარწმუნდებით, როდესაც მეტოქეებს გაგაცნობთ.

## ტონგა

წყნარი ოკეანის კუნძულოვანი ქვეყანაა და რაგბს უნდა უმადლოდეს, მსოფლიოს მისი არსებობა რომ გაუგია. წარმოშობით ტონგელები არიან, მაგრამ სხვა ქვეყნის სახელით უბურთავიათ ისეთ ვარსკვლავებს, როგორებიც არიან: ჯონა ლომუ, მალაკაი ფეკიტოა, დაგ ჰაულითი და პიტა ალატინი (ახალი ზელანდია); იზრაელ ფოლაუ, ვილი ოფაჰენგაუე, ტოუტაი კეფუ, ჯორჯ სმიტი, კლიფი პალუ და ტატაფუ პოლოტა-ნაუ (ავსტრალია); ბილი და მაკო ვუნიპოლა (ინგლისი); ტობი ფალეტაუ (უელსი)

თუ როდის ეზიარა ტონგა ოვალურ ბურთს, უცნობია, მაგრამ 1923 წელს შეიქმნა კავშირი და მალე ნაკრებმაც გამართა პირველი ტესტი — 9:6 ძლია მეზობელი ფიჯი. 1973 წელს ტონგამ ბრისბენში თვით ავსტრალია დაამარცხა 16:11, 2011 წლის მსოფლიო თასზე კი საფრანგეთს 19:14 მოუგო, პულში მესამე ადგილი დაიკავა, მოწინავე 12 გუნდში მოხვდა და 2015 წლის მსოფლიო თასის საგზურიც დაიბევა.

ტონგას რაგბის ნაკრებს მეტსახელად „იკალე ტაჰი“ (ზღვის არწივები) ჰქვია. გუნდი თამაშის წინ ასრულებს საბრძოლო ცეკვას — „სიპი ტაუს“.

სტადიონის უვარგისობის გამო ტონგას 2009 წლის აქეთ შინ აღარ უთამაშია. შარშანდელ ტურნეზე არწივებმა 18:19 წააგეს რუმინეთში, 18:38 საფრანგეთში და 7:17 უელსში; წლევანდელ „წყნარი ოკეანის თასზე“ კი 18:18 დაუზავდნენ სამოას და 17:45 დამარცხდნენ ფიჯზე.

ტონგას 1999 წლის გაზაფხულზე, მსოფლიო თასის რეპეშაჟში გადავეყარეთ. ლოჯისტიკურ ლაფსუსთა გამო, სტუმრად უმწვრთნელოდ მოგვიწია თამაშმა და 6:37 დავმარცხდით, საპასუხო რკენაში კი მეტოქემ სერიული ჯარიმების ტაქტიკა აირჩია და რადგან მაშინ სინბინი ტესტებში შემოღებული არ იყო, ერთი ქულით, 28:27 ვიმარჯვეთ, რის გამოც შემდეგ წრეში ტონგა გავიდა.

2015 წლის მსოფლიო თასზე ტონგა ჩვენს პულშია. არწივებს 19 სექტემბერს გლოსთერში ვხვდებით.

## ირლანდია

ევროპის მოქმედი ფალავანი — „ექვსი ერის“ ჩემპიონია და „ერთა თასის“ გამარჯვებულს — საქართველოს ამიტომ ხვდება ტესტ მატჩში. 1996 წლიდან ირლანდიის რესპუბლიკის დედაქალაქ დუბლინში უდევს ბინა რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ).

ირლანდია მესამე ქვეყანაა, ვინც მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ჯერ კავშირი და მერე ეროვნული ნაკრებიც შექმნა, 1886 წელს კი ირბ-ის სამ დამფუძნებელშიც ერია. ძველ „ხუთ ერში“ (1910-31, 1947-99) „სამყურები“ ჯამური ქულებითა და ტიტულებითაც მაჩანჩალები იყვნენ, პროფესიულ ხანაში კი მოძლიერდნენ: „ექვს ერში“ (2000-14) ქულებით მესამენი არიან, მაგრამ უიღბლობა თან სდევთ და პირველობა უჭირთ — ორი ტიტული და ერთადერთი სლემი (2009).

რაგბი ირლანდიაში პოპულარობით მხოლოდ ეროვნულ თამაშებს — ფეხბურთსა და კერლინგს ჩამოუვარდება. სამყურებმა შვიდივე მსოფლიო თასზე იასპარეზეს, მაგრამ მეოთხედფინალს მხოლოდ 5-ჯერ უწიეს, ხოლო ნახევარფინალს — ვერც ერთხელ.

ირლანდიის ეროვნულ ნაკრებს სამჯერ შევხვედრივართ, მეორე ნაკრებს — ორჯერ და ხუთივე თამაში წაგებული გვაქვს. სამყურებმა დიდი ანგარიშით დაგვამარცხეს დუბლინში, 1998 და 2002 წლებში, მსოფლიოს შესარჩევებში, 2007 წლის 15 სექტემბერს კი, ბორდოში, მსოფლიო თასზე, სასწაულად გადაგვირჩნენ 10:14.

წლევანდელი ტესტიც დუბლინშია, „ავივაზე“. ეს 50-ათასიანი სტადიონი 2010 წელს გაიხსნა „ლენზდაუნ როუდის“ ადგილზე, სადაც დიდი რაგბი 135 წლის განმავლობაში (1872-2006) იმართებოდა.

## იაპონია

„ამომავალი მზის ქვეყნის“ ნაკრები აზიური რაგბის მედროშეა და 2019 წელს მსოფლიო თასს უმასპინძლებს. იაპონიის პროფესიული ლიგა შეძლებით მხოლოდ საფრანგეთის ტოპ 14-ს ჩამოუვარდება და სამხრეთელ ვარსკვლავებს იბირებს.

იაპონიაში რაგბი ბრიტანელმა მეზღვაურებმა შეიტანეს. კეიოს უნივერსიტეტში თამაში 1899 წელს დაიწყეს. კავშირი 1926 წელს შეიქმნა, ხოლო ნაკრებმა პირველი ტესტი კანადასთან გამართა 1932 წელს.

ქვეყანაში რაგბის გავრცელება-განვითარებას დიდი ამაგი დასდო უფლისწულმა ჩიჩიბუმ, რის გამოც ეროვნული სტადიონი მისი სახელობისაა. 1969-2007 წლებში იაპონიამ აზიის 20 პირველობიდან 15 მოიგო, 2008 წლიდან კი „აზიის ხუთი ერის“ უცვლელი ფალავანია — საშუალოდ 70 ქულით იმარჯვებს!

იაპონია ყველა მსოფლიო თასის ფინალისტია, მაგრამ აქამდე გამართულ შვიდ ტურნირში 24 თამაშიდან ერთადერთი მოუგია (1991 წელს ზიმბაბვესთან). „ალუბლები“ სხარტად და გამართულად ბურთაობენ, მაგრამ მათ აქამდე ყოველთვის აკლდათ წონა, სიმაღლე და ჯანი.

ბოლო ხანს ამ პრობლემას სამხრეთელთა (ზელანდია, ავსტრალია, კუნძულები) დამატებით მოუარეს. იაპონიამ წელს ზედიზედ სძლია სამოას — 33:14, კანადას — 34:25, აშშ-ს — 37:29 (ამერიკის ორივე გუნდი სტუმრად დაამარცხა), იტალიას — 26:23 და პირველად შეიჭრა ირბ-ის რეიტინგის მოწინავე ათეულში.

„ალუბლებს“ 2012 წლიდან ავარჯიშებს ცნობილი ავსტრალიელი გურუ ედი ჯოუნზი, ვისაც დედაცა და ცოლიც იაპონელები ჰყავს. მისი თაგკაცობით იაპონიამ შარშანწინ, ვაკეში, წამატებულ დროში გატანილი არეკნით ტესტი 25:22 მოგვიგო, რაც ნოემბრის რკენას ელფერს მატებს.

# 18-წლამდელთა ნაკრებმა შვეიცარია გაანადგურა

**საქართველო _ შვეიცარია 89:63**

(20:16, 25:9, 32:9, 12:29)

**საქართველო:** ზაქრაძე (19ქ,6ჩ), ლომიძე (9ქ), გუგეშაშვილი (4ქ,9მ), ისიანი (21ქ), მაჭავარიანი (6ქ), კუტალაძე (6ქ,14მ), მასხულია (19ქ), გოგობერიშვილი (5ქ), ცირეკიძე, გაგუა

**საქართველოს** 18-წლამდელთა ნაკრების პირველი გამარჯვება ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონში. არჩილ ჟღენტის გუნდმა გამარჯვებას 17-22 ადგილებისთვის — საკვალიფიკაციო რაუნდში მიაღწია. ქართველებმა აქამდე განცდილი წაგებებისთვის ჯავრი შვეიცარიაზე იყარეს, რომელიც 26 ქულით — 89:63 დაამარცხეს.

საქართველოს ნაკრების უპირატესობა აშკარა იყო. მესამე პერიოდის გამანადგურებელი ანგარიშით — 32:9 მოგების შემდეგ ქართველები მოეშვნენ და ბოლო მეოთხედი 17 ქულით დათმეს. მიუხედავად ამისა, ჟღენტის გუნდმა მაინც დიდი სხვაობით იმარჯვა და ახლა, მე-17 ადგილისთვის მატჩში რუმინეთს შეხვდება.

საქართველოს ნაკრებში 21 ქულით საუკეთესო ვილი ისიანი იყო, 19-19 ქულა დააგროვეს ლევან მასხულიამ და ლუკა ზაქრაძემ. ამ უკანასკნელმა 6 ჩაჭრაც მიითვალა. 14 მოხსნით მატჩის საუკეთესო მექარე გახდა ვასილ კუტალაძე.

მომდევნო მატჩს საქართველო 3 აგვისტოს გამართავს.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 599-160-774. ქალბატონი ფიქრია

კულტურა

# ლია ელიავა“ — წიგნი გენიალურ მსახიობზე

ეკა ირემაშვილი



თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის დაფინანსებით გამოვიდა წიგნი, რომელიც ქართული კინოს ვარსკვლავის პოპულარული კინომსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტის, ლია ელიავას ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება. პროექტის ავტოები არიან ნანა კობერიძე და ანა მანჯგალაძე. წიგნის შემდგენელი და რედაქტორია კინომცოდნე მარინა კერესელიძე, მხატვრული გაფორმების კონცეფციის ავტორი მხატვარი ვახტანგ რურუა.

წიგნი განკუთვნილია კინოხელოვნებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვის. მასში შევიდა თვით ლია ელიავას მოგონებები ცხოვრებასა და კინოხელოვნებაში განვლილ გზაზე. მსახიობს იგონებენ მისი პედაგოგები, კოლეგები და მეგობრები, რეჟისორები აკაკი დვალიშვილი და ლილი იოსელიანი, თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე, კინორეჟისორები ლანა ღოღობერიძე, ნანა ჯანელიძე, მარინა წურწუმია, ჟურნალისტები სანდრო მამასახლისი და ლია წილოსანი, კომპოზიტორი გია ყანჩელი, მხატვრები მერაბ ბერძენიშვილი და ზურაბ ნიჟარაძე.

ტექსტი გაცოცხლებულია მდიდარი ფოტომასალით, კადრებით ფილმებიდან, ლია ელიავას სხვადასხვა დროის პორტრეტებით, ფოტოებით ოჯახის არქივიდან, სამუშაო მომენტების, მრავალრიცხოვანი შეხვედრებისა და მოგზაურობის ამსახველი ფოტოსურათებით. წიგნი „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ დასტამბა.

ქართული კინოს ვარსკვლავი ლია ელიავა ოთარ კობერიძის მეუღლე იყო. „ბაში აჩუკი“, „ჩრდილი გზაზე“, „მამლუქი“, „მე ვხედავ მზეს“, „ლაზარე“ — ეს იმ ფილმების არასრული ჩამონათვალია, რომლებშიც მსახიობმა მიიღო მონაწილეობა და დაუვიწყარი როლები შექმნა. ბევრ ფილმში მას პარტნიორობა მეუღლემ ოთარ კობერიძემ გაუწია. საქართველოს დამსახურებული და სახალხო არტისტი ლია ელიავა 64 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა.

# ქართული ღვინის კულტურა გერმანიაში გამოიფინება

ეკა ირემაშვილი

პირველი აგვისტოდან 5 ოქტომბრის ჩათვლით გერმანიის ევროპული კულტურის მუზეუმი საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებს მასპინძლობს. გამოფენა სახელწოდებით ,,ღვინის კულტურა“ გერმანიაში საქართველოს კულტურის დღეების ფარგლებში იმართება.

ღვინის დამზადების ტრადიცია საქართველოში 8000 წელს ითვლის და მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ კულტურაში. 2013 წელს იუნესკოს გადაწყვეტილებით ღვინის ქვევრში დაყენების ქართული ტრადიცია კაცობრიობის ხელშეუხებელი კულტურული მემკვიდრეობის სიაში მოხვდა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ცნობილი ფოტოგრაფის დიმიტრი ერმაკოვის ნამუშევრები, რომლებზეც ასახულია XIX-XX საუკუნეებში ღვინის დამზადების პროცესი. აგრეთვე ექსპოზიციაზე დამთვალიერებელს საშუალება ექნება გაეცნოს ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიულ კოლექციებში დაცულ ღვინის დასამზადებელ მოწყობილობას.

საქართველოს კულტურის დღეების მხარდამჭერია საქართველოს საელჩო გერმანიაში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული მუზეუმი და სხვა პარტნიორები საქართველოსა და გერმანიაში. საქართველოს კულტურის დღეების ფარგლებში აგრეთვე დაგეგმილია ქართული რელიგიური და სახალხო დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ტრადიციული მუსიკისა და ცეკვის წარმოდგენები და თანამედროვე ქართული ლიტერატურის საღამოები.

კალეიდოსკოპი



# სტუდენტი ობამას წერილს ყიდის

ამერიკელმა სტუდენტმა ჯესი გრეინჯერმა გასაყიდად გამოიტანა წერილი, რომელიც მან ქვეყნის პრეზიდენტის ბარაკ ობამასგან მიიღო, რათა უნივერსიტეტში სწავლის ხარჯები დაფაროს.

ჯერ კიდევ 2011 წელს გრეინჯერმა წერილი მისწერა ბარაკ ობამას, რომელშიც საკუთარი ცხოვრების შესახებ მოუთხრო. სტუდენტის თქმით, 13 წლისა დედობილის გარდაცვალების შემდეგ დაობლდა. ოთხი წლის განმავლობაში მან რამდენიმე ოჯახი გამოიცვალა, ის დაღალა ალკოჰოლიკებს, ნარკომანებსა და უსახლკაროთა შორის ცხოვრებამ და გადაწყვიტა დამოუკიდებლად დაეწყო ცხოვრება, რათა თავადაც ისეთივე არ გამხდარიყო, როგორებიც მის გარშემო მყოფი ადამიანები იყვნენ.


THE WHITE HOUSE
WASHINGTON

Jesse —
Thanks for the letter and your inspirational story. The best advice I can give you right now is finish your education, and find the best organization that you can find that's helping the homeless — then start working with them, even if it's just as an intern or volunteer at first. That will give you that best foundation for achieving your dream.
I'm proud of you. Stay determined!

— როდესაც 17 წლის გავხდი, სახლი, სადაც ბოლოს ვიცხოვრე, ჩანთით დავტოვე, რომელშიც რამდენიმე წიგნი, ტანსაცმელი და დედაჩემის ბიბლია იდო და სამოგზაუროდ გავწიე, რომელმაც სამუდამოდ შეცვალა ჩემი ცხოვრება, — მისწერა ობამას გრეინჯერმა.

ყმაწვილს გაუმართლა და სამხრეთ კაროლინაში კარგ ოჯახში მოხვდა, რისი წყალობითაც დაამთავრა კოლეჯი. მაგრამ, როდესაც გრეინჯერი უნივერსიტეტში მიიღეს, მის წინაშე სწავლის საფასურის გადახდის პრობლემა წამოიჭრა, რისთვისაც მას 10 ათასი დოლარი სჭირდებოდა.

თავის წერილში სტუდენტმა პრეზიდენტს თავისი ოცნების ასრულებაში დახმარება სთხოვა. პასუხად ობამამ გრეინჯერს მადლობა გადაუხადა მიმართვისთვის.

— საუკეთესო რჩევა, რისი მოცემაც შემიძლია, ისაა, რომ დაასრულო განათლება. მე შენით ვამაყობ! — მისწერა ობამამ.

ახლა, სამი წლის შემდეგ, იმისთვის, რათა სწავლის საფასური გადაიხადოს, გრეინჯერმა გადაწყვიტა, წერილი 9,5 ათას დოლარად გაყიდოს.

# სამი წლის ბავშვმა ავარია მოაწყო

სამი წლის ბავშვი, ამერიკის შტატ ორეგონის მცხოვრები, თავისი მშობლების კუთვნილი ჯიპით მეზობლის სახლის კედელს შეასკდა. ბავშვი მანქანის საჭეს მიუჯდა, სიჩქარის გადამრთველი ბერკეტი ნეიტრალურ მდგომარეობაში გადაიყვანა, ხოლო გზის დახრილობის გამო მანქანა დაგორდა და მეზობლის სახლის კედელს შეეჯახა. ავარიის შემდეგ ბავშვი მანქანიდან გადმოვიდა და სახლში დაბრუნდა, სადაც მულტფილმის ყურება გააგრძელა.



დამტვრეული ავტომობილის მფლობელმა, ბავშვის დეიდამ, განაცხადა, რომ ავარიის დროს ის შხაპს იღებდა, ბავშვი კი ეზოში თამაშობდა. ჩაუკეტავ ყველგანმავალში შეღწევა მოახერხა. მანქანამ, რომლის საჭესთან ბავშვი იჯდა, გაიარა გზაჯვარედინი, ავარდა ბორდიურზე, შევარდა მეზობლის ეზოში და სახლის კედელს შეასკდა. ამის შემდეგ ბავშვმა სასწრაფოდ დატოვა მანქანა და სახლში დაბრუნდა.

ბავშვის დეიდის თქმით, მას არასოდეს მიუწვდებოდა ხელი მანქანის გასაღებამდე, თუმცა შემთხვევის ადგილზე მისული პოლიციელების თქმით, მათ რამდენიმე დღით ადრე გააფრთხილეს ბავშვის ნათესავები, რომ ის შეიძლება მანქანაში შემძვრალიყო.

ბავშვის მშობლები მეზობელს დაპირდნენ, რომ ზარალს აუნაზღაურებენ. ასევე მათ წარედგინათ ბრალდება, რომ ისინი ვერ ახერხებენ ბავშვის გაკონტროლებას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# იუმორი



ქმარი ცოლს ეკითხება:

— ვინ ღრიალებს ასე განწირული ხმით მეზობელთან?

— ლამარა...

— რა აღრიალებს, მშობიარობს?

— არა, ფეხმძიმდება.

●●●

სოციოლოგებმა დაადგინეს, რომ მამაკაცების 85 პროცენტი ხალიჩის ზედაპირიდან აღებულ ძაფს, რომლის შეწოვა მტვერსასრუტმა ვერ მოახერხა, ისევ ხალიჩაზე აგდებს, რათა მტვერსასრუტს კიდევ ერთი შანსი მისცენ.

●●●

გახარებული კაცი სახლში ბედნიერი სახით შევიდა და ცოლსა და სიდედრს ახარა:

— დღეს ლატარიაში მილიონი მოვიგე.

მოულოდნელობისგან სიდედრს გული გაუსკდა და მოკვდა.

— ღმერთო, ამდენი ბედნიერება ერთად!!! — შეჰღაღადა სიხარულისგან მუხლებზე დავარდნილმა სიძემ.

●●●

ფერმერი ვეტერინარს მიმართავს:

— ერთი ცხენი მყავს, დროდადრო კოჭლობს, ხან კი ნორმალურად დადის, რას მირჩევთ?

— როდესაც არ იკოჭლებს, გაყიდეთ.

●●●

ქმარი ცოლს გასძახებს:

— ძვირფასო, რამდენად მაგარი ყავა გაგიკეთო?

— იმდენად მაგარი, რამდენადაც ძლიერია შენი სიყვარული ჩემ მიმართ! — გამოსძახებს ცოლი.

— აჰა, გასაგებია, მაშინ წყალი საჭირო არ არის? შეგიძლია ასეც დაღეჭო!!!

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

— კაცებისთვის ყველაფერი ადვილია.

— ეგ როგორ?

— ისინი მაშინვე ამჩნევენ, როგორი მკერდი აქვს ქალს, ჩვენ კი ყოველთვის სიურპრიზის მოლოდინში ვართ.

მოამზადა
კახა ხატიაშვილმა

საერთაშორისო

# ბარაქ ობამა: უკრაინას იარაღს არ მივაწვდით!“

დასაწყისი მე-7 გვერდზე

## უკრაინული არმია დონეცკის გარშემო რკალს კრავს

გააფთრებული ბრძოლები 31 ივლისსაც გრძელდებოდა. რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსებმა დიდძალ ტექნიკასა და ცოცხალს ძალას მოუყარეს თავი. საზღვარზეც ნამდვილი ომი გაიმართა. 31 აგვისტოს ბოევიკებით გატენილმა ოთხმა რუსულმა კამაზმა უკრაინაში შეჭრა ცადა. უკრაინელმა მეომრებმა, რომლებიც საზღვარს იცავდნენ, ცეცხლი გახსნეს და ხსენებული კამაზები გაანადგურეს. ამის შემდეგ უკრაინაში შეჭრა უკვე ოთხმა რუსულმა ტანკმა დააპირა. უკრაინელმა ჯარისკაცებმა ესეც აღკვეთეს. რუსული ტანკები იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ.

— სამაგიეროდ საზღვრის სხვა მონაკვეთზე რუსებმა რამდენიმე გარღვევის განხორციელება შეძლეს, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

საზღვრის გადალახვა შვიდმა რუსულმა ტანკმა შეძლო. მათ სოფელ დუბროვკამდე მიაღწიეს, სადაც გააფთრებული ბრძოლები გაიმართა. ტანკები განადგურებულ იქნა. ამ ბრძოლის დროს სამი უკრაინელი ჯარისკაცი დაიჭრა. სეპარატისტებს შორის უდიდესი დანაკარგია. მოკლულია მათი 45 მეომარი.

ამრიგად, რუსებმა უკრაინის ტერიტორიაზე ღრმად შეჭრა ვერ შეძლეს. დიდი როლი ითამაშა უკრაინელების მიერ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე დებალცევოს დაკავებამ. შედეგად შეიქმნა კორიდორი დებალცევო — საურ მოგილა, რამაც რუსების მიერ სეპარატისტებისადმი დახმარების აღმოჩენა უაღრესად პრობლემატური გახადა. უკრაინის შეიარაღებული ძალები დონბასის მთელ ტერიტორიაზე შეტევას განაგრძობენ. უკრაინულმა არმიამ დაიკავა ავდეევკა, რომელიც დონეცკიდან 6 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ქალაქზე უკრაინული დროშა აღიმართა. დონეცკის გარშემო ნელ-ნელა რკალი იკვრება.

## პუტინო, გვიშველე!

სეპარატისტების მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. მათ რიგებში უზარმაზარი დანაკარგია. ტერორისტების მეთაურები უკვე ცდილობენ თავს უშველონ. დონეცკიდან მოსკოვში გაიქცა „დონეცკის რესპუბლიკის“ პრემიერი ბოროდაი. ყირიმს შეაფარა თავი სეპარატისტების ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა საველე მეთაურმა „მოტოროლამ“. სიმფეროპოლში მან დაქორწინებაც მოასწრო.

— ლუგანსკში „მოტოროლას“ ცოლი დარჩა, რომელთანაც ოფიციალურად გაყრილი არაა. მიუხედავად ამისა, მან ჯვარი მაინც დაიწერა, — იტყობინება „ინტერი“.

გარდაუვალი დამარცხებისაგან ერთადერთი ხსნა რუსეთის პირდაპირი სამხედრო ინტერვენციაა. „ლუგანსკის რესპუბლიკის“ ლიდერმა ბოლოტოვმა (უკვე მერამდენედ!) დახმარებისათვის ვლადიმერ პუტინს მიმართა:

— კიევის ხუნტა აღარაფერს ერიდება! ბომბავენ ეკლესიებს, ხოცავენ პატარა ბავშვებს! თუკი სამშვიდობო ძალებს დაუყოვნებლივ არ შემოვიყვანთ, გაგვანადგურებენ! — აცხადებს ბოლოტოვი.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, გაეროს ოფიციალურად მივმართავთ, რათა თუნდაც იმ ადგილას, სადაც მალაზიური თვითმფრინავი ჩამოვარდა, სამშვიდობო მისიის ჩატარების მანდატი მოგვცენო.

ამრიგად, მიუხედავად სანქციებისა, მოსკოვი ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებს. რაც უფრო საგრძნობია უკრაინული არმიის წარმატებები, ოფიციალური კრემლის აგრესიაც მით უფრო იზრდება.

ნიკა თევზაძე

[illegible]

**შვეულად:** 1. საფოსტო გზავნილი; 2 ხელოვნურად გამომშრალი და ფხვნილად ქცეული ფეკალური მასისგან დამზადებული ორგანული სასუქი; 3. სპარსეთის ძველი დედაქალაქი; 4. ბეწვეულისგან შეკერილი ქალის ფართო პალტო; 5. ყველაზე დიდი ქალაქი შოტლანდიაში; 11. უკრაინული სოფელი; 12. შემაგრებული პორტუგალიური ღვინო; 14. ყველაზე დიდი ტბა იაპონიაში; 16. ძვირფასი ლითონი; 17. საადგილმამულო ბანკი ძველად საქართველოში; 19. აეროპორტი ბელგრადში; 21. განათებულობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 22. მაღალხარისხოვანი მინა.

**თარაზულად:** 6. ყველისგულიანი ქართული ორცხობილა; 7. ქალაქი, ნავსადგური იტალიაში; 8. მდინარე ლონდონში; 9. ფრანგი მწერალი, ნოველისტი; 10. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 13. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი; 15. საკუთარ ჯანმრთელობაში დაეჭვებით გამოწვეული ავადმყოფური შიში; 18. ნორვეგიელი მკვლევრის ტურ ჰეიერდალის ერთ-ერთი საექსპედიციო ნავის სახელწოდება; 20. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 21. მეცნიერება აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ; 22. შტატი აშშ-ში; 24. პირველი ჰიდროელექტროსადგური საქართველოში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




[illegible]

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ზეკარი; 2. ხუცური; 3. „მალთაყვა“; 4. არღანი; 6. თუთიყუში; 8. ბისონი; 11. კელასური; 12. „ბორჯომი“; 16. კაისა; 17. კელია; 18. კურსი.

**თარაზულად:** 1. ზაფხული; 5. სიათა; 7. ლაშქარი; 9. ასტურია; 10. კამბუზი; 13. ნარვალი; 14. ფეტიში; 15. „გომი“; 19. აჯამეთი; 20. პეკინესი; 21. „ნატახტარი“; 22. მირონი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ალებასტრი; 2. „გერნიკა“; 3. სინუსი; 4. აქატი; 5. „ნიანგი“; 11. დოლარი; 12. სეტერი; 14. ზებუ; 16. ლაქტოზა? 17. სარბაზი; 19. ბერინგი; 21. ბრომი; 22. ლუარა.

**თარაზულად:** 6. კლარნეტი; 7. სექვოია; 8. ტვენი; 9. ჰამამი; 10. „სიმდი“; 13. ბრიზი; 15. ალადასტური; 18. მიკრობი; 20. ალჩუ; 21. ბოხოხი; 23. კატამარანი; 21. ზარზმა.

## fcnhjghjuyjpb
1 აგვისტოსთვის

**ვერძი** – ფული გაქვთ, საჩუქრებიც გექნებათ. **კურო** – კარგ ამბავს გაიგებთ და გაგიხარდებათ. **ტყუპები** – თქვენი საქმე კარგად მიდის, გახარებული ხართ. **კირჩხიბი** – ახალი პროექტი გაამართლებს, ფულიც გექნებათ. **ლომი** – სიტუაცია გამოსწორდება, ბედს ეწევით. **ქალწული** – გზიდან ამანათს მიიღებთ, ძალიან მოგეწონებათ. **სასწორი** – თოვლის ბაბუა თქვენთვის არსებობს. **მორიელი** – გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა, გელით სხვა სიახლეც. **მშვილდოსანი** – ცხოვრება რადიკალურად გეცვლებათ. **თხის რქა** – დასვენება და გართობა გჭირდებათ. **მერწყული** – ახალი პროექტი სიმდიდრეს მოგიტანთ. **თევზები** – ყური მიუგდეთ მეგობრების რჩევას, გამოგადგებათ.

უბცე3ღტ,ს ,ტღყბტ3 ღქტს=

# შვეიცარიული ბენდი თბილისშია

ეკა ირემაშვილი

შვეიცარიული მუსიკალური ბენდი „ალფორნ იქსფიერიენსი" თბილისშია და უფასო კონცერტებს ღია ცის ქვეშ მართავს. დასკვნით კონცერტს ის ვაკის პარკსა და რიყეზე ღია ცის ქვეშ ჩაატარებს, მანამდე კი კონცერტს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სააქტო დარბაზში გამართავს. ღონისძიებას დაესწრება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, შვეიცარიის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში გიუნტერ ბეხლერი და სხვა მოწვეული სტუმრები.

ბენდი ტრადიციულ შვეიცარიულ ფოლკლორულ და თანამედროვე მუსიკალურ ნაწარმოებებს ასრულებს. შვეიცარიული მუსიკალური ბენდი „ალფორნ იქსფიერიენსი" საქართველოს შვეიცარიის საელჩოს ეგიდით სტუმრობს. მუსიკალურმა ბენდმა უკვე გამართა რამდენიმე კონცერტი ღია ცის ქვეშ. ბენდი 5 წლის წინ დაარსდა და მისი წევრების შთაგონების წყარო ადგილობრივი ტრადიციები და ასევე, მსოფლიოში აღიარებული მუსიკალური მიმდინარეობებია. მათი მუსიკა მოიცავს ჯაზისა და ფანკის ელემენტებს. კვარტეტი მუსიკის რიტმებს უნიკალური სოლოშესრულებით ამდიდრებს და იმავდროულად, თავიდან აცოცხლებს და ანახლებს კლასიკური საკრავის ჰანგებს. ტრადიციული მუსიკალური საკრავი ალფორნი ძირითადად შვეიცარიაში გამოიყენება, თუმცა ანალოგიური საკრავები სხვა ალპურ ქვეყნებშიც გვხვდება. იგი ახალგაზრდა ნაძვისა და ფიჭვის ხეებისგან კეთდება. ხეების ბუნებრივად არსებულ მრუდ ნაწილებს მწყემსები ოდითგანვე იყენებდნენ ალფორნის ხმის მისაღებად, რაც იმდენად ძლიერია, ექვსი კილომეტრის დაშორებითაც კი ისმის. „ალფორნ იქსფიერიენსის" წევრები არიან მაიკ მაურერი, სემი ლორთშერი, კრისტიან შმიტერი და მარტინ მიურნერი.

# ქართული ვიდეო არტი გამოცემულია

ეკა ირემაშვილი

თბილისის მედიათეკაში 2 აგვისტოს ქართული ვიდეო არტის შესახებ მომზადებული პუბლიკაციის პრეზენტაცია გაიმართება, რომელიც მომზადდა პროექტის „ქართული ვიდეო ხელოვნებისა და მოძრავი გამოსახულების კვლევის" ფარგლებში. პუბლიკაციის გამოცემამდე, შეიქმნა ქართული ვიდეო ხელოვნებისა და მოძრავი გამოსახულების ელექტრონული არქივი. ამა წლის პირველ მარტს ასევე პროექტის ფარგლებში, საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის, ყოფილი რკინიგზელთა კულტურის სახლის შენობაში გაიმართა ქართული ვიდეო ხელოვნების რეტროსპექტიული გამოფენა „აღწერები".

პუბლიკაცია წარმოადგენს, პროექტის დამასრულებელ მესამე ეტაპს, რომელიც ასახავს ქართული ვიდეო ხელოვნების ტექსტური გააზრების მცდელობას. პუბლიკაცია აერთიანებს, ოთხი მოწვეული ავტორის, ხათუნა ხაბულიანის, ედიშერ ბერაძის, დავით ჩიხლაძის და ირინე ჯორჯაძის ტექსტებს, რომელთა პროფესიული პრაქტიკა უკავშირდება თანამედროვე ქართული ხელოვნების კრიტიკასა და თეორიულ გააზრებას. გამოცემაში ასევე შესულია პროექტის თანაავტორების, თამარ მუსხელიშვილისა და გიორგი სპანდერაშვილის ტექსტი ქართული ვიდეო ხელოვნების შესახებ. ასევე წარმოდგენილია პროექტის ფარგლებში გამართული გამოფენის მიმოხილვა და ფოტო დოკუმენტაცია. პრეზენტაციაზე ასევე ნაჩვენები იქნება ქართველი არტისტების ვიდეო ნამუშევრები. პუბლიკაცია გამოიცა თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრისა და გოეთეს ინსტიტუტის ფინანსური მხარდაჭერით.

## ცფვუქჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

### ციცინო ნოჩოს ასული შონია

მოშინა მოწანუასი



თხუთმეტი დღე თბილისში იმკურნალე. გამოჯანმრთელდი. აღარ გაჩერდი. აფხაზეთში წახვედი. ჯგერდეში ჩახვედი. ინერვიულე. სოხუმის ექიმებმა ვეღარ გიშველეს. თავად დაუჩქარე წუთისოფლიდან გასვლას. ...დედ-მამა, დაძმები... დაგხვდებოდნენ, მიგიღებდნენ, გაიხარებდით.

აჰა, პირველ აგვისტოს წელიწადი შესრულდა. ფიზიკურად ჩვენთან არ ხარ. გვიძნელდება უშენობა. ცრემლებს ვეღარ ვიკავებთ, გვიმძიმს... უფლის ნებაა.

ციცინო! საფლავზე ვერ გავდივარ წლისთავზე. ნუ მიწყენ. ეს სურათიც ქალიშვილმა გადაგიღო თბილისში. სამახსოვრო აღმოჩნდა.

სული შენი ნათელში იყოს. დედასოფლის ნაას მადლი არ მოგკლებოდეს. უფალი იყოს შენი მეოხი სამოთხეში, დაო ციცინო! ამინ!

*შენიანების სახელით, ძმა დავით შონია, ოჩამჩირის რაიონი, სოფელი ნაა*

ცფვუქჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტქლქტ7
რდბპბს უფპლფ7 !@–ლფყ!& ცფფსფვლტ8

# რობერტ სტურუა იუბილარია

ეკა ირემაშვილი



რეჟისორი რობერტ სტურუა იუბილარია. მას 76 წელი შეუსრულდა. თეატრის მსახიობებმა მაესტროს დაბადების დღე სპექტაკლით მიულოცეს. რეჟისორმა სოციალურ ქსელში ვიდეოც გამოაქვეყნა, სადაც მას ახალი სპექტაკლის მსახიობები დაბადების დღეს ორიგინალურად ულოცავენ:

„პატარა სპექტაკლი გამიმართა 10-მა ასულმა, ახალი სპექტაკლის მონაწილეებმა," – განაცხადა რეჟისორმა.

76-ე დაბადების დღე რობერტ სტურუამ საკუთარ თავს ასე მიულოცა:

„თქვენი აფერისტი რეჟისორის დაბადების დღეა! ესეც შენ, ჩემო ბატონო რობერტ! დღეს კი გოგოებთან ერთად წინასწარ იხდის ღრმა სიბერეში შებრძანებას. როგორც ერთ პოლონურ ფრაშკაში (შაირში) თქმულა: იდიოტი სიბერეშიც იდიოტად რჩება, უბრალოდ უფრო სანდომიანად გამოიყურება. ესეც შენ, ჩემო ერთგულო ძმაო! გილოცავ. ვიტოლდ-როლანდ (ბონდო)."

მაესტროს დაბადების დღე საქართველოს პრემიერ მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმაც მიულოცა. საგანგებო მისალოც ბარათში აღნიშნულია, რომ იუბილარმა რეჟისორმა ქართულ თეატრში ეპოქა შექმნა:

„თავისი შემოქმედებით რობერტ სტურუამ ეპოქა შექმნა ქართულ თეატრში. მან შექმნა სპექტაკლები, რომლებმაც მსოფლიო აალაპარაკა ქართულ კულტურაზე. დიდ რეჟისორს არაერთი სპექტაკლი აქვს დადგმული მსოფლიოს წამყვან თეატრებში, რომლებმაც საყოველთაო აღიარება მოუტანა მას და ქართულ კულტურას. კიდევ ერთხელ ვულოცავ ბატონ რობერტს დაბადების დღეს. ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს და კიდევ ბევრ შემოქმედებით წარმატებას. ირაკლი ღარიბაშვილი."

რობერტ სტურუას დაბადების დღე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომაც მიულოცა:

„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ულოცავს მას დაბადების დღეს ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და სიხარულს უსურვებს!" – წერია სამინისტროს მილოცვაში.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს არტ კალენდარში აღნიშნულია:

„ახალგაზრდა რეჟისორის ტალანტი ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდის ნამუშევრებში გამოჩნდა. რუსთაველის თეატრის სცენაზე მან დადგა მილერის „სეილემის პროცესი", რამაც რეჟისორს პირველი ნამდვილი წარმატება მოუტანა. თეატრალური ფორმის ოსტატობა გამოჩნდა მის მეორე მნიშვნელოვან ნამუშევარში კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი", რომელიც თემურ ჩხეიძესთან ერთად დადგა. მნიშვნელოვანი წარმატება მოჰყვა სპექტაკლს „ხანუმა", რომელშიც მხიარული, კომიკური, მაგრამ რეალისტური პერსონაჟები ბუნებრივად ებმებიან პირობით თამაშში. 70-იან წლებში უკვე გაჩნდა ცნება „რობერტ სტურუას თეატრი". კაკაბაძის „ყვარყვარეში" რეჟისორი სვამს სცენას ბრეხტის პიესიდან არტურ უის კარიერა. აქედან იწყება სტურუას შემოქმედებაში ბრეხტის პერიოდი, რაც რეალობის თეატრალურ მოდელირებას გულისხმობს. ამ დროს რეჟისორი მჭიდროდ თანამშრომლობს რამაზ ჩხიკვაძესთან, რომელმაც მთავარი როლი შეასრულა სტურუას მსოფლიო მნიშვნელობის სპექტაკლებში: შექსპირის „რიჩარდ III" და ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე". 80-იანი წლები განსაკუთრებით ნაყოფიერია სტურუას შემოქმედებაში. ამ პერიოდში იდგმება ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობის ქალისთვის", შარპოვის „ცისფერი ცხენები წითელ ბალახზე", რობერტ სტურუას, ლილი ფოფხაძისა და ავთანდილ ვარსიმაშვილის „ვარიაციები თანამედროვე თემაზე", იბრაგიმბეკოვის „დაკრძალვა კალიფორნიაში". იუბილარი რეჟისორის მიერ დადგმულ „მეფე ლირში" გამოიკვეთა მიდრეკილება ფილოსოფიური რეჟისურისადმი, რომელშიც სამყაროს თეატრალური ხედვა ტრაგიკულ ფინალს ერწყმის. კალდერონის პიესით „ცხოვრება სიზმარია" სტურუას შემოქმედებაში უკვე მეტაფიზიკური რეალობა შემოდის. რეჟისორმა გოგებაშვილის დედაენის მიხედვით დადგა სპექტაკლი „იაკობის სახარება", არანაკლებ მნიშვნელოვანია „ლამარა" რობაქიძის ლირიკულ-მითოლოგიური დრამის მიხედვით. ლაშა თაბუკაშვილის პიესის მიხედვით დადგმული „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი" განსაკუთრებით პოპულარული გახდა ახალგაზრდა თაობაში. სტურუამ დავით საყვარელიძესთან ერთად დადგა გოცის პიესა „ქალი-გველი". ამავე წელს მოსკოვში თეატრ „სატირიკონში" განხორციელდა სტურუას „ჰამლეტი", რომელშიც მთავარი როლი კონსტანტინე რაიკინმა განასახიერა. მოსკოვში, თეატრში „ეტ ცეტერა" დაიდგა „შეილოკი" შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის" მიხედვით. რობერტ სტურუას ჰყავს ორი მუდმივი თანაავტორი – მხატვარი გიორგი ალექსი-მესხიშვილი და კომპოზიტორი გია ყანჩელი. რეჟისორი ბევრს მუშაობდა საზღვარგარეთ, მსოფლიოს სხვადასხვა თეატრებში დადგმული აქვს შექსპირის, სოფოკლეს, მოლიერის, ჩეხოვის, ბრეხტის პიესები და მიღებული აქვს მრავალი თეატრალური პრემია".

ყველაზე დიდი ხმაური იუბილარი რეჟისორის მიმართ მაშინ დაიწყო, როცა ის კულტურის ყოფილმა მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გაათავისუფლა. საბოლოოდ სტურუა რუსთაველის თეატრში დაბრუნდა, თუმცა მას ახლა ამავე თეატრის მსახიობი ზაზა პაპუაშვილი დაუპირისპირდა და რუსთაველის თეატრის „სულის ღაფვაში" დასდო ბრალი.

რობერტ სტურუა არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი. ბოლო პერიოდში მის მიერ გაკეთებული განცხადებები აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მოდელმა გიორგი ნაზღაიძემ მას პიტბულიც უწოდა, რაზეც რეჟისორმა პასუხი არ დააყოვნა:

„ვიღაც, ვითომ ახალგაზრდამ, დარწმუნებული ვარ, სახელი და გვარი გამოგონილია, ალბათ ფოტოც სხვისაა, შესაძლოა, ჩემი „ამ, ამის" გამო, პიტბული მიწოდა. დიახ, მე პიტბული ვარ და სანამ აქ, ამ წმინდა მიწაზე მაღალი ჩინოსანი ქურდები, მკვლელები და გამომძალველები იპარპაშებენ, ვერავინ გამომტაცებს იმ ნაძირალებს, ვერავინ გამიხსნის კრიჭას! პ.ს. და თუ მართლა ის ხარ, გიორგი ბატონო, და ზრდილობას მიწუნებ, შენ, ასეთი ფაქიზი და სათნო ადამიანი, რატომ მაგდებ სამშობლოდან, ჩემს უსაყვარლეს საქართველოდან, იმ ქვეყნიდან, საიდანაც ერთხელ უკვე გამაძევეთ. არ აჯობებს, კომუნისტებმა და ფაშისტებმა რომ იცოდნენ, ჯერ მაწამეთ და მერე ტყვია შუბლში?! ცხრა წელი, ერთი კაცი ქვეყანას რომ ანადგურებდა რატომ შესცქეროდი, ბედნიერი სახით ამ საშინელებას, რატომ იყავი ჩუმად?! ო, როგორ მაინტერესებს, რამდენი დაუჯდა ნაცისტურ პარტიას ეს სამარცხვინო თქვენი დუმილი?"

ღობერტ სტურუას მიმართ ინტერესი არ ცხრება. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში რობერტ სტურუას საღამო გაიმართა. საღამო შოთა რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრისა და წერეთლის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო-სახელოვნებო პროგრამის „სტურუა – შექსპირის სამყაროს" ფარგლებში გაიმართა. რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა რობერტ სტურუამ საკუთარ შემოქმედებასა და ბოლო დროის სპექტაკლებზე ისაუბრა. შეხვედრას წერეთლის უნივერსიტეტის სტუდენტებისა და ლექტორების გარდა, იმერეთის გუბერნატორიც ესწრებოდა. რეჟისორის საღამო შექსპირის დაბადებიდან 450 წლის იუბილეს მიეძღვნა. ამავე პროექტის ფარგლებში რობერტ სტურუა სტუდენტებს თბილისშიც შეხვდა. ღონისძიება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ივანე ჯავახიშვილის სახელობის დარბაზში შედგა, რომელიც რუსთაველის თეატრისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი საგანმანათლებლო-სახელოვნებო პროექტის ფარგლებში გაიმართა და ამ ღონისძიებით პროექტის დახურვა გაიმართა. პროექტი გულისხმობდა სამ ღონისძიებას, რომელთა ფარგლებშიც მოეწყო გამოფენები და დისკუსიები, სადაც მონაწილეობას იღებდნენ აკადემიური და სახელოვნებო წრეების წარმომადგენლები, ასევე გაიმართა სპექტაკლების ვიდეო ჩვენება. ამ ღონისძიების ფარგლებში რუსთველის თეატრის მცირე სცენაზე შედგა რობერტ სტურუას სპექტაკლების „რიჩარდ მესამე" და „ჰამლეტი" ვიდეო ჩვენება, თეატრის ფოიეში გამოიფინა რუსთაველის თეატრის მუზეუმში დაცული უნიკალური ექსპონატები, რომლებიც რობერტ სტურუას შექსპირული დადგმების ფოტო, ვიდეო და სხვა ისტორიულ მასალებს ასახავენ.

რობერტ სტურუა რამდენიმე თვის განმავლობაში არგენტინაშიც იმყოფებოდა, სადაც იქაურ მსახიობებთან ერთად სოფოკლეს „ელექტრა" დადგა. ამჟამად იუბილარი რეჟისორი ახალ სპექტაკლზე საქართველოში მუშაობს, რომლის პრემიერაც რუსთაველის თეატრში მომავალ თეატრალურ სეზონზეა დაგეგმილი.

## TV პროგრამა

პარასკევი
1 აგვისტო

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30, 01.30** "დღეს" **14.30** "შემოძახილი" (ხუთშ. გ/ჩვ) **15.00, 21.00** ტ/სერ. **"დეტექტივი"** **17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა 18.30** მხ/ფ **"ჭრიჭინა"** **22.00** თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **23.30** მხ/ფ **"წითელი ვიოლინო"**

**08.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **10.00** ტ/სერ. **"ნიკოლა ლე ფლოკი"** 12-სერ. **11.00** დ/ფ "აღშფოთებული" (ხუთშ. გ/ჩვ) **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა (პ/ტ) **19.00, 22.00** ტ/სერ. **"ნიკოლა ლე ფლოკი"** **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **23.00** მხ/ფ **"ნახვამდი პოლუჟს!"**

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45** ქრონიკა. **10.03** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 16.50** SV - მარკეტი **11.30** სერ. **"შურისმაძიებელი"** **12.30** დღის შოუ (პ/ე) **14.45** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.45** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.50, 19.03** სერ.**"ბამბის ველი"** **21.00** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** სერ. **"20 წუთი"** 5 სერ. **23.00** სერ. **"კენედები"** 4 სერ. **00.00** მხ/ფ **"ლარი ქრაუნი"** (ტ.ჰენქსი) **01.55** მხ/ფ **"დაუსრულებელი სიცოცხლე"** (ჯ.ლოპესი)

**06.30** სერ. **"არ დამივიწყო"** **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ეზელი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქალბატონი დილა"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ქერის უბანი **22.30** ვანოს შოუ - დასკვნითი **00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**08.00** GDI დილა **10.00, 19.00** **სერიალი "ლენა"** **11.00** TOP 10 **12.00, 17.00** URBAN STORIES **12.25** SONG STORY **13.00** სტილის სამყარო **13.30** მისტერ ამიკო **14.00** ჯიდიპედია **15.00, 21.00** ლეგენდა **15.50, 16.45, 17.45, 20.45, 21.45** ქვიშის ზღაპრები **16.00** დ/ფ "მსოფლიო ზემოდან" **16.30, 17.45, 20.30** მინიპედია **19.00** დ/ფ **20.00** პოპკორნი **22.00** მხ/ფ **23.50** მუსიკა

**06.10** საგალობელი **06.15** მხ/ფ **"ბაში-აჩუკი"** **07.50** "ჩვენი ამბავი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** "დრო და ტრადიციები" **10.05** სახლი ღვთისა **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.10** პორტრეტები **13.00** მოკ./ფ. **"ქოლგა"** **13.15** კონცერტი - სოსოს კეჭაყმაძის საგუნდო ნაწარმოებები **15.05** ტელეზღაპარი **15.25** ირაო **15.55** დ/ფ "სულიკო" **16.55** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** დ/ფ "ილია ჭავჭავაძე" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "პატრიარქობის ჯვარისმტვირთველი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ოთარაანთ ქვრივი"**

მაესტრო **7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.20** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) **8.40, 22.00, 1.45** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) **10.03, 11.03** **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** **12.30** SV 11 მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **13.03, 14.03** **სერიალი "ასი"** **15.40, 16.03, 17.03** **სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.03** **სერიალი "თანაგრძნობა"** **20.03** **სერიალი "დაკარგული დრო"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ"ე **22.15** "დიდებული საუკუნე" -იდუმალი სამყარო (დოკუმენტური ფილმი) **23.30** **სერიალი "მომავლის გაელვება"** **0.30** ბრძოლა წესების გარეშე (სპორტული შოუ) **1.20** გადაცემა "უცნობი ისტორიები"(გამ.) **2.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **2.20** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება"(გამ)

გპჯუპფვტ,ბ
ბ,ტზლტ,ფ ცფფუტყნჯ
ვბყაჯპფდჰბც4 ყტ,ფჰსდბბ

ეროვნული ბიბლიოთეკა




1. A. Y. Sergeev, Y.V. Sergeev, V.Y. Sergeev, Onychomycosis: new Russian concept of pathogenenis, diagnosis and therapy, Immunopathology, allergology, Infectology, 2007, N3:9-16; 2. Квитчатая А. И., Пиминов А. Ф., Высокий комплаенс как фактор эффективности лечения, Журнал Аптека, № 871 (50) 24 12 2012.

XX1407223811